ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

პარასკევი, 10 ნოემბერი, 2023 | №222 (9258) | ფასი: 80 თეთრი

## კირბალში უკანონოდ დაკავებული ლევან დოთიაშვილი თავისუფალია



გვ.2

# „ოცნება“ მეოთხედ კი არა, შეიძლება მეხუთედაც მოვიდეს!“



თორნიკე შარაშენიძე: „ვერავინ ეტყვის ხელისუფლებას, ძალით წაგე არჩევნები და ხელისუფლება დაუთმე ოპოზიციასო“

გვ.2





გვ.3

## „თუ საერთოდ არ გავქრებით პოლიტიკური რუკიდან, დეკემბერში სტატუსს მივიღებთ“

ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის ლეგიტიმურობასა და იმპიჩმენტზე საუბარიც კი ქვეყნისთვის საზიანოა“



შესრულდება თუ არა ევროკომისიის დათქმა სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების თაობაზე?

გვ.4

## პეტრე მამრაძე: „ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოს გაცილებით ადრე ეკუთვნოდა“



გვ.3

## პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა



გვ.4

ამბები აფხაზეთის ომიდან



ავთო იოსელიანმა საკუთარი სხეულით გადაფარა იატაკზე დავარდნილი ხელყუმბარა

## „არ დატოვოთ, ბიჭებო, არადუ, მე დამტოვეთ!“

გვ.5



გვ.6

კანადაში ყველაზე დიდი ბავშვი დაიბადა



გვ.5

რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები

3 ვინ არის 33 წლის მამაკაცი, რომელიც 13 წლის გოგოს გაუპატიურებისთვის დააკავეს

6 ჰამასმა ღაზას სექტორის სამხრეთზე კონტროლი დაკარგა

4 რა იცვლება 3 იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის?

6 არსებობს თუ არა ავდეევკის ალყაში მოქცევის საშიშროება?!

# „ოცნება“ მეოთხედ კი არა, შეიძლება მეხუთედაც მოვიდეს!“

## თორნიკე შარაშენიძე: „ვერავინ ეტყვის ხელისუფლებას, ძალით წააგე არჩევნები და ხელისუფლება დაუთმე ოპოზიციასო“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, თქვენთვისაც ცნობილია ევროკომისიის გადაწყვეტილება, თანხმობა მივიღეთ კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ცალკე ოპოზიცია იბრალებს, რომ მათი დამსახურებით მოხდა ეს ყველაფერი და ცალკე – ხელისუფლება. რამდენად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა და რა შეიცვლება ამის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში?***

– პირველ რიგში, დამშვიდდება ქვეყანა და ეს კარგია. ვისაც უნდა, იმან დაიბრალოს, ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ისიც გასაგებია, რომ გულწრფელი ნერვიულობა იყო, ვაი და არ მოგვანიჭონ. მთავარია, რომ მოგვანიჭეს, რადგან ეს აუცილებელი ეტაპი იყო ევროკავშირში ინტეგრაციისთვის. თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ეს ყველაფერი დაძრა უკრაინამ და რეალურად ყველაფერი დამოკიდებულია უკრაინაში ომზე, როგორ წავა იქ პროცესები. აი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტიც კი.

***– უნდა დაიწყოს უკრაინისა და მოლდოვას გაწევრიანებაზე საუბარიო, ესეც თქვეს გუშინ. ეს დროში გაიწელება?***

– ეს არავინ იცის. ღმერთმა უწყის მხოლოდ. იქ იმდენად ცივი ომი მიდის, ეს როდის დასრულდება, არავინ იცის. ყველაზე უფრო მარტივი ინტეგრაციისთვის, მაინც მოლდოვაა. ამ ქვეყნის მოქალაქეების უმეტესობას აქვს რუმინეთის პასპორტი. რუმინეთი მას აქტიურად ლობირებს. ამიტომ მოლდოვას ინტეგრაცია გაცილებით მარტივია, ვიდრე უკრაინის. უკრაინაში ომია და უკრაინასთან მოლაპარაკების დაწყება საერთოდ არაფერს ნიშნავს.

***– ჩვენ რაც შეგვეხება? ერთ კალათაში მოვიაზრებით ჩვენ, უკრაინა და მოლდოვა. შესაძლოა, რომ გადავასწროთ უკრაინას?***

– იცით, რაშია საქმე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პროცესი დაძრა უკრაინამ, არ იქნება ლამაზი, ჩვენ ჩაგვსვან უკრაინის წინ. ხოლო უკრაინის გაწევრიანება როდის მოხდება, ეს, ჯერჯერობით, აბსოლუტურად წარმოუდგენელია.

***– იმას თუ გავითვალისწინებთ, თურქეთს რამდენი ხანი სტატუსი აქვს და ჯერ კიდევ არ არის წევრი...***

„ნაცებში შიდა სექტები შეიქმნა. გარჩევა მიდის, რა იგულისხმა მიშამ, მელიამ ვის დაარტყა, ხაბეიშვილი რას ლაპარაკობს, ეს სოფო ჯაფარიძე სად დარბის და რა უნდა...“

– თურქეთი ცოტა სხვა პრობლემაა. თავს ნუ მოვიტყუებთ და ევროკავშირი ცივილიზაციურად არის ქრისტიანული ფენომენი და თურქეთი, ცოტა არ იყოს, უცხო კულტურა იყო მისთვის, ეს ერთი და მეორეც, დემოკრატიული რეფორმები თურქეთში აშკარად ჩავარდა. უკრაინა არ არის დასავლეთისთვის უცხო კულტურა, მაგრამ იქ არის ომი. არანაირი სერიოზული რეფორმები არ გაუტარებია უკრაინას, ომშია და რა რეფორმებს გაატარებდა?! უბრალოდ, ომშია და მას რაღაცები ეპატიება უფრო მეტად.

***– 2030 წელში უნდა გაფართოვდეს ევროკავშირიო და რამდენად გვაქვს ამის შანსი?***

– არა, წარმოუდგენელია. წინასწარ რაიმე თარიღის დაწესება სისულელეა. ყველაფერი დამოკიდებულია ომის მიმდინარეობაზე. რეკომენდაცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი. რადგან გვაქვს რეკომენდაცია, კანდიდატის სტატუსიც გვექნება. დანარჩენი უკვე არ ვიცი.

***– დიდი მნიშვნელობა მიენიჭება 2024-ის არჩევნებსო, საუბარია მნიშვნელოვან რეფორმებზე და პოლარიზაციის დასრულებაზე. რამდენად დემოკრატიულ არჩევნებს ელით?***

– არჩევები ჩატარდება ელექტრონულად და ამაზე მეტი რა მოიფიქრონ. ახლა ძალით ხომ არ წააგებს არჩევნებს მთავრობა ოპოზიციასთან?! ოპოზიცია თუ არ ვარგა, ეს მისი პრობლემაა. გარედან ვერავინ ეტყვის ხელისუფლებას, ძალით წააგე არჩევნები და ხელისუფლება დაუთმე ოპოზიციასო.

***– ცოტა თვალში საცემია მეოთხე ვადით მოსვლა.***

– კი, ბატონო, არის, მაგრამ მეორე მხრივ, ვინც უყურებს გარედან ოპოზიციას, თუ რა ხდება მათ თავს, მართალი გითხრათ, მეოთხე კი არა, „ოცნების“ მეხუთედ მოსვლაც არ გამიკვირდება.

***– ვისმენთ შეფასებებს, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებული ნაციონალური მოძრაობა. სააკაშვილიც კი ველარ ეხმარებაო. რას იტყვით იქ განვითარებულ პროცესებზე?***

– მოკლედ, დიდი აურზაური აქვთ, გარჩევა მიდის, რა იგულისხმა მიშამ, მელიამ ვის დაარტყა და ვის არ დაარტყა, ხაბეიშვილი რას ლაპარაკობს, ეს სოფო ჯაფარიძე სად დარბის და რა უნდა. მოკლედ, საერთოდ არ ვიცი, რა გითხრათ. რამდენიმე მიმდინარეობაა პარტიაში, შიდა სექტები შეიქმნა.

***– გააზრებულად თუ გაუაზრებლად თამაშობს ნაცმოძრაობა „ოცნების“ თამაშს?***

– ცხადია, გაუაზრებლად აკეთებს ამას, არ მგონია, გააზრებული ჰქონდეთ ეს ყველაფერი. პირდაპირ ვთქვათ, ხარისხობრივადაც გაუარესებულია ნაცმოძრაობის რიგები. საერთოდ, შედარებაც არ შეიძლება 2012 წლის ნაცმოძრაობასა და ახლანდელ ნაცმოძრაობას შორის. ვნახოთ მაშინდელი სახეები, მათი ბიოგრაფიები და მერე ახლანდელებს შევხედოთ.

***– ანუ 2024-ში დამარცხდება ოპოზიცია?***

– საერთოდ არანაირი შანსი არა აქვთ. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ სიტუაცია შეიცვალოს? რის ხარჯზე უნდა მოიგონ, არ მესმის. ამდენი დამარცხებისა და ამდენი ჩავარდნის შემდეგ, მაინც ამხელა გონორით ლაპარაკობენ, თანაც ისე თავდაჯერებულად, თითქოს მე წავაგე მიყოლებით ამდენი არჩევები. გაურკვეველია, საიდან მოდის ეს გონორი და ჭკუის დარიგება?! მუდამ რომ ჭკუის დამრიგებლის როლში არიან, რით არიგებენ ჭკუას ამ ხალხს?!

***– ახალი ნარატივი აქვს ოპოზიციას, ჩვენი დამსახურებააო, ბოლომდე ამას ვერ იბრალებენ, ხალხმა მიიღო კანდიდატის სტატუსი, ხოლო ხელისუფლებას ისეთი „მჟავე“ სახე აქვს, საერთოდ არ გახარებიაო.***

– სრული სისულელეა. ამას გულის სიღრმეში თავადაც ხვდებიან, მაგრამ რაღაც ხომ უნდა თქვან. პირიქით, რატომ უნდა იყოს ხელისუფლება უკმაყოფილო, როცა ძალიან გააძლიერა ამ სტატუსმა?! რაში სჭირდებოდათ შფოთი და არეულობა ქუჩაში?!

***– რამდენად დაიწერს ამით ქულებს „ქართული ოცნება“ 2024 წლის არჩევნებისთვის?***

– რა თქმა უნდა, უკვე დაიწერა. ორი მიმართულებით მიაღწია დიდ წარმატებას, ვილაც-ვილაცები კი ქილიკობენ, ომი, ომიო, მაგრამ ამ ქვეყნისთვის ომის აცილება ცოტას არ ნიშნავს ნამდვილად და სტატუსიც მიიღო.

***– პოლარიზაციაზე როდესაც საუბრობენ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის საკმაოდ სერიოზული დაპირისპირებაა. ახლა შეიქმნა ასეთი მოცემულობა, რომ პრემიერიც და პრეზიდენტიც ორივე საფრანგეთშია მიწვეული ღონისძიებაზე. რა მოლოდინი გაქვთ, შერიგდებიან?***

– უნდა ჩავიდნენ. მართალი გითხრათ, მე ღარიბაშვილის ადგილას ჩავიდოდი და გარეგნულად მაინც არ დავძაბავდი ურთიერთობას პრეზიდენტთან, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის მოქალაქეა ქალბატონი სალომე და ესეც უნდა გაითვალისწინონ.

***– როდესაც ნაცმოძრაობაზე ვსაუბრობთ, დანარჩენ ოპოზიციას ვივიწყებთ ხოლმე. დანარჩენ ოპოზიციაზე რას იტყვით? საუბარია, რომ პრეზიდენტის გარშემო იგეგმება ახალი ალიანსი. რა მოლოდინი გაქვთ?***

– მაშინ უნდა გადადგეს პრეზიდენტი. ერთი წელი აქვს დარჩენილი და გადადგამს ამ ნაბიჯს, გადადგება? არა მგონია, ასე მარტივად შეელიოს თავის პრივილეგიებს. მითიურ გაერთიანებებზე საუბარი, სალომე და გახარიები. მე არა მგონია, სალომე ასე მარტივად შეელიოს თავის ოფისს.

## კირბალში უკანონოდ დაკავებული ლევან დოთიაშვილი თავისუფალია

უკანონო პატიმრობაში მყოფი ლევან დოთიაშვილი, რომელიც რუსეთის საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა უკანონოდ დააკავეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ კირბალის მიმდებარედ, თამაზ გინტურის მკვლელობისას, თავისუფალია და ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება. ინფორმაციას სუსი ავრცელებს.

სუს-ის განმარტავს, რომ ლევან დოთიაშვილის დაუყოვნებელი და უპირობო გათავისუფლების საკითხი აქტიურად განიხილებოდა 6 ნოემბერს, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგნეთში გამართულ ტექნიკურ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის საოკუპაციო ძალების, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები.



– უკანონო დაკავებულის გათავისუფლების შესახებ კომუნიკაციისას, ასევე, ინტენსიურად გამოიყენებოდა როგორც „ცხელი ხაზის“ მექანიზმი, ისე ცენტრალური ხელისუფლების ხელთ არსებული ყველა სხვა ინსტრუმენტი. მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული საერთაშორისო პარტნიორები.

ცენტრალური ხელისუფლება განაგრძობს აქტიურ მუშაობას თამაზ გინტურის მკვლელობაში მონაწილე პირების მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების მიზნით. მუშაობა, ასევე, მიმდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყველა მოქალაქის გასათავისუფლებლად, – ნათქვამია ინფორმაციაში, რომელსაც სუს-ი ავრცელებს.

ლევან დოთიაშვილს გათავისუფლების შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია.

„ცუდად ვარ და ხვალ გაგესაუბრებით“, – აღნიშნა ლევან დოთიაშვილმა.

## პროკურატურამ „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, ორ პირს ბრალდება წარუდგინა



საქართველოს პროკურატურამ, „ლილო მოლის“ ტერიტორიაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე, ორ პირს ბრალდება წაუყენა, მათ შორის ერთ პირს, შეკვეთილი მკვლელობისთვის და მეორეს, მკვლელობაში დახმარებისთვის. რაც შეეხება მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულს, ბრალი შეკვეთით განზრახ მკვლელობისთვის დაუმძიმდა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საზღვარგარეთ მყოფმა ბრალდებულმა, რომელიც ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების სახელით „ლილო მოლის“ ბაზრობაზე მოვაჭრეებს თანხას სძალავდა, ერთ-ერთი მოვაჭრის მხრიდან უარის მიღების გამო, მისი მკვლელობა შეუკვეთა. ბრალდებულმა საქართველოში მყოფი მეგობრის დახმარებით, მკვლელობის ჩადენისთვის წინასწარ შერჩეულ პირს ცეცხლსასროლი იარაღი და თანხა გადასცა.

– 2023 წლის 3 აგვისტოს თბილისში, შპს „ლილო მოლის“ ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე მკვლელმა დაზარალებულს თავის არეში ორი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული 17 აგვისტოს გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა მკვლელობის ჩამდენი პირი იმავე დღეს დააკავეს. თავდაპირველად, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (განზრახ მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა, ტარება) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. მოგვიანებით მას ბრალდება დაუზუსტდა და ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა შეკვეთით) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება) წარედგინა.

მკვლელობის შემკვეთი პირის მეგობარი, რომელმაც მკვლელს ცეცხლსასროლი იარაღი მიუტანა, სამართალდამცველებმა 7 ნოემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25-109-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით (შეკვეთით განზრახ მკვლელობაში დახმარება) წარედგინა.

რაც შეეხება მკვლელობის შემკვეთს, ვინაიდან იგი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას და იმყოფება მიმალვაში, მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ნ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა შეკვეთით და ანგარებით) დაუსწრებლად წარედგინა.

ბრალდებულებისთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულის ჩამდენი სხვა პირების მხილების მიზნით, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ახლანიშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 9 თვეში 5.920 ადამიანი გახდა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საქართველოში ოჯახში და ქალზე ძალადობის განახლებულ სტატისტიკას აქვეყნებს, რომელიც 2023 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდს მოიცავს.

შსს-ს ცნობით, საქართველოში ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 9 თვეში 5.920 ადამიანი გახდა – მათგან 4.977 ქალია, ხოლო 943 კაცი. რაც შეეხება გამოვლენილ მოძალადეებს, 4.785 გამოვლენილი მოძალადე მამრობითი სქესისაა, ხოლო 867 მდედრობითი სქესის.

სტატისტიკის მიხედვით, საკვლევ პერიოდში, ოჯახში ფიზიკური ძალადობის 1.764 შემთხვევა დაფიქსირდა, ფსიქოლოგიური ძალადობის 6.059, ეკონომიკური ძალადობის 76 შემთხვევა, სექსუალური ძალადობის 26, იძულების – 64, ხოლო უგულებელყოფის 44 შემთხვევა დაფიქსირდა.

რაც შეეხება ქალზე ძალადობას, როგორც შსს-ს სტატისტიკიდან ირკვევა, 2023 წლის 9 თვეში, ძალადობის მსხვერპლი 525 ქალი გახდა. საკვლევ პერიოდში ფიზიკური ძალადობის 94 შემთხვევა დაფიქსირდა, ფსიქოლოგიურის – 940, ეკონომიკურის 1, სექსუალურის 15 და იძულების – 15 შემთხვევა აღირიცხა.

გამოვლენილ შემთხვევებში, 505 მოძალადე კაცია, 29 კი ქალი. საკვლევ პერიოდში შსს-მ 573 შემაკავებელი ორდერი გამოსცა.

## ვინ არის 33 წლის მამაკაცი, რომელიც 13 წლის გოგოს გაუპატიურებისთვის დააკავეს



არასრულწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედების საქმე გაუპატიურების მუხლზე გადაკვალიფიცირდა. ამ ბრალდებით, ოზურგეთში, 33 წლის მამაკაცი დააკავეს.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბრალდებული მსხვერპლის ოჯახში მიწის ნაკვეთის შეძენის მიზნით იყო მისული.

მოზარდი ამბობს, რომ მამაკაცმა მასზე სექსუალურად იძალადა, თუმცა, დაკავებული ბრალდებებს უარყოფს.

როგორც „პრაიმტაიმი“ ავრცელებს, დაკავებული ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული პირია. ის წარსულში განზრახ მკვლელობისთვის იხდიდა სასჯელს. საუბარია 2010 წელს მდინარე ბჟუჟის ნაპირთან 24 წლის ახალგაზრდის მკვლელობაზე.

## „უცხოურ კომპანიას საქართველოში 333.132 ევრო მოტყუებით ჩაარიცხინეს“

პროკურატურის ცნობით, გამოვლენილია ტრანსნაციონალური დანაშაული და ფულის გათეთრების ბრალდებით, სამი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

გამოძიებით დადგინდა, რომ უცხოური კომპანია PROCTER AND GAMBLE-ს ელექტრონულ ფოსტაზე, ბრალდებულებმა პარტნიორი საწარმოს წარმომადგენლის სახელით ყალბი შეტყობინება გაგზავნეს. შედეგად, დაზარალებულ კომპანიას ჯამში 333.132 ევრო საქართველოში, მათ მიერ დაფუძნებული ფიქტიური საწარმოს საბანკო ანგარიშზე მოტყუებით ჩაარიცხინეს. აღნიშნული თანხა, ფულის გათეთრების მიზნით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა საზღვარგარეთ დანაწევრებით გადარიცხეს, რითაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია მოახდინეს.

ორ ფიზიკურსა და ერთ იურიდიულ პირს ბრალდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო იურიდიულ პირთან მიმართებით – ლიკვიდაციას ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას და ჯარიმას ითვალისწინებს.

– აღსანიშნავია, რომ ე.წ. პრედიკატ დანაშაულზე – PROCTER AND GAMBLE-ს მიმართ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, ბრალდებული ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა საფრანგეთის რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა პირების გამოვლენისა და მხილების მიზნით, – ნათქვამია განცხადებაში.

# „თუ საერთოდ არ გავქრებით პოლიტიკური რუკიდან, დეკემბერში სტატუსს მივიღებთ“

## ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის ლეგიტიმურობასა და იმპიჩმენტზე საუბარიც კი ქვეყნისთვის საზიანოა“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ევროკომისიამ დადებითი რეკომენდაცია გასცა კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით. თუმცა, ამჯერად, 12 პუნქტის ნაცვლად, 9 ნაბიჯი გვაქვს შესასრულებელი. როგორ ფიქრობთ, დეკემბრის შუა რიცხვებამდე შესრულდება?***

– ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, მიუხედავად ძალიან მძიმე და რთული გზისა, ამ დღემდე მოვედით. მივუახლოვდით სანატრელ ოჯახს. ევროპული ოჯახის კარი ჩვენთვის არ დაიხურა. ევროპული პერსპექტივა გადარჩენილია.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, შესრულდება თუ არა ის საშინაო დავალება, რომელიც ამჯერად ცხრა პუნქტშია გაწერილი, ვერ გეტყვით, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ევროკავშირი არ დაუშვებს საქართველოს ამ გზიდან გადახვევას. თუ საერთოდ არ გავქრებით პოლიტიკური რუკიდან, დეკემბერში სტატუსს მივიღებთ.

საქართველომ ძალიან დიდი ხნის წინ, 2000-იანი წლებიდან დაიწყო ამ მიმართულებით სვლა. ვიმეორებ, ეს არ ყოფილა მარტივი გზა და ეს გზა ყველამ ერთად განვლეთ – საზოგადოებამ, ხელისუფლებამ, ოპოზიციამ – და ერთად მოვედით დღემდე. დღეის იქეთ კიდევ უფრო რთული გზა გველოდება. თუმცა, ხელისუფლება იმიტომ არსებობს, რომ ხალხის ნება უნდა აღასრულოს.

***– გულისხმობთ რეფორმებს?***

– რა თქმა უნდა! პირდაპირ ჩაგვიწრეს, აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობა, რომ უნდა არსებობდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროკურატურა და რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად გაჩნდა ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნაზე ჩანაწერი. ხომ ცალსახაა, რას უკავშირდება ეს ყველაფერი. საზოგადოებამ ხომ მშვენივრად იცის, რა იყო ამ ჩანწერის გაჩენის რეალური მიზეზი.

***– ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებული ფაქტი.***

– რასაკვირველია. ასევე გაჩნდა პუნქტი ეროვნულ მარეგულირებელ კომისიასთან დაკავშირებით. ეს ის ინსტიტუტებია, რომლებიც ხელისუფლების, ოპოზიციის, ნებისმიერი გავლენისგან უნდა იყვნენ თავისუფალნი და უნდა ემსახურებოდნენ მხოლოდ სახელმწიფოს დემოკრატიულ განვითარებას. ეს ინსტიტუტებია, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სახელმწიფოში ბალანსზე.

***– ერთ-ერთი ჩანაწერი ეხება 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს. შეიძლება ითქვას, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები იქნება ერთგვარი წყალგამყოფი?***

– რა თქმა უნდა! არჩევნები იქნება ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმი. უფრო ზუსტად კი, როგორ ჩატარდება არჩევნები, რამდენად იქნება გამოხატული და ასახული ამომრჩევლის თავისუფალი ნება არჩევნების შედეგებზე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, შეიძლება განმსაზღვრელიც კი.

მე მაინც მგონია, რომ ძალიან ბევრი დამოკიდებული იქნება თავად ამომრჩევლებზე. თუ მოქალაქეები იქნებიან აქტიურები, თუ ისინი დაიცავენ საკუთარ არჩევანს, მაშინ ვერავინ გაბედავს, ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგოდ რამე მოიმოქმედოს. ამის მშვენიერი მაგალითია 2011 წელი. დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ სიამოვნებდა წინა ხელისუფლებას ძალაუფლების დათმობა. ალბათ, არც უნდოდა, რომ ოპოზიციაში გადასულიყო, მაგრამ ამომრჩევლის ნების წინააღმდეგ ვერ წავიდა. უკვე იმდენად აქტიური იყო ამომრჩეველი, იმდენად მზად იყო, საკუთარი არჩევანი რომ დაეცვა, ვერავინ ვერაფერს გახდა. ეს უნდა გაიხსენოს „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც მსგავსი სიტუაციის წინაშე აღმოჩნდება.



***– სალომე ზურაბიშვილის პარიზში წასვლას უკვე მოყვა მმართველ გუნდში შეფასებები. პრეზიდენტმა თქვა, რომ პრემიერთან ერთად მშვიდობის ფორუმში მონაწილეობა იქნება პოლარიზაციის შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯი და კარგი გზავნილი ევროკავშირისადმი.***

– აბსოლუტურად ვეთანხმები პრეზიდენტს. ნებისმიერი საერთაშორისო ფორუმი პრეზიდენტმა და პრემიერმა უნდა გამოიყენონ სწორედ ევროკავშირის მიმართულებით. ამ გზაზე საქართველოს ინტერესების დასაცავად. პრეზიდენტიც და პრემიერიც საქართველოს მოქალაქეების მიერ დაქირავებულები არიან მათი ნების აღსასრულებლად, განსახორციელებლად.

***– თუმცა, ირაკლი ჩიქოვანი ამბობს, რომ პრეზიდენტ ზურაბიშვილის ქმედება არაკონსტიტუციურია, რომ ლეგიტიმურობა და აქტუალობა დაკარგული აქვს.***

– ამის თქმა უკვე ირაკლი კობახიძესაც კი უჭირს, ვერ ბედავს და ამიტომ მესამე თუ მეოთხე ეშელონიდან გამოაგორეს დისკრედიტირებული ადამიანი, რომელიც სულ სხვა პარტიის წევრი იყო და მმართველ პარტიაში გადავიდა.

თუკი, ვინმეს პრეზიდენტის ლეგიტიმურობაზე აქვს პრეტენზია, დაიწყონ იმპიჩმენტის პროცედურა. რა უშლით ხელს, მაგრამ ეს იქნება ნამდვილად საქართველოს ინტერესების საზიანო ნაბიჯი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ამას კი ქართველი ხალხი უკვე ნამდვილად არ აპატიებს. პასუხი იქნება მყისიერი.

# პეტრე მამრაძე: „ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოს გაცილებით ადრე ეკუთვნოდა“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.**



***– ბატონო პეტრე, გილოცავთ, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიამ რეკომენდაცია გასცა. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?***

– ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სატუსი შარშან საქართველოს უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე უკრაინასა და მოლდოვას. შარშან, როდესაც უკრაინასა და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი მისცეს, ხოლო საქართველოს – არა, ეს დიდი უსამართლობა იყო.

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოს გაცილებით ადრე ეკუთვნოდა. ჩვენ ჯერ კიდევ 2014 წელს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ.

რეკომენდაციები, რომელიც საქართველოს მიეცა კანდიდატის სტატუსის მიღებისთვის, თვალსაჩინოება და მტკიცებულება იყო ევროკავშირში დამკვიდრებული ორმაგი სტანდარტებისა. მასმედიის მდგომარეობის გაუმჯობესება, დეპოლარიზაცია, დეოლიგარქიზაცია – ეს საქართველოსადმი უსამართლო მოპყრობის მაჩვენებელი გახლდათ.

კარგია, რომ დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მონიჭებაზე რეკომენდაცია გაიცა. ეს ქვეყნისთვის გარკვეულ პრივილეგიებს მოიტანს, რომ შესაბამისი პროგრამები და გრანტები მიიღოს სხვადასხვა სფეროში – ეს იქნება განათლება, სოციალური საკითხები თუ სხვა.

გასულ წელს კანდიდატის სტატუსის არმოცემა, ერთადერთი და ბოლო იარაღი იყო დესტრუქციული ოპოზიციის, ანტიეროვნულად განწყობილი ჯგუფის ხელში, რომელიც ყველანაირად ცდილობდა, საქართველოს სტატუსი არ მიეღო. გადაწყვიტეს, მოდით, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საქართველომ სტატუსი არ მიიღოს და ყველაფერი ხელისუფლებას დაბრალდესო.

დესტრუქციული ოპოზიცია ხელისუფლებას პრორუსულობას აბრალებდა. ამბობდა, რომ თურმე ხელისუფლებას ევროპაში არ უნდა და რუსეთი ურჩევნია.

სტატუსის მიღებაზე რეკომენდაცია რომ არ ყოფილიყო, იტყოდნენ, აი, დასტურიო. მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ სტატუსი არ მიგვეღოო. შესაბამისად, როდესაც გაიგეს, რომ ევროპელი პარტნიორები სტატუსს გვანიჭებდნენ, მაშინ აყვირდა ზოგიერთი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები ევროპელებს არეულდარეულ მესიჯებს აწვდიდნენ. ამიტომ იყო, რომ სამნიძემ და დეკანოიძემ მათგან დისტანცირება მოინდომეს.

სამადაშვილი დაუფარავად აცხადებდა, ჩვენს პარტნიორებს ძალიან ღიად ვეუბნები, რომ საქართველოს ამ ხელისუფლების პირობებში სტატუსს ნუ მისცემთო.

***– ახლა ოპოზიციამ ახალი, ე.წ. ნარატივი შემოიტანა თავის არსენალში, ჩვენ ამ საკითხში უკრაინასა და მოლდოვაზე ერთი-ორი საფეხურით დაბლა ვართო. აწი, ამაზე ილაპარაკებენ.***

– ახლა ურცხვად და უტიფრად დაიწყეს ლაპარაკი, ჩვენ უკრაინაზე და მოლდოვაზე წინ ვიყავით და ამ ხელისუფლებამ უკან დაგვწიაო. ყველას შევახსენებ: სააკაშვილის ხელისუფლების ბოლო წლებში, 2008 წლის შემდეგ, საქართველო საერთოდ აღარ მოიაზრებოდა იმ ქვეყნების რიცხვში, რომელიც ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერდა.

იანუკოვიჩს ასოცირების ხელშეკრულება მაგიდაზე ედო და ხელს აწერდა. უბრალოდ, რუსეთის ზეწოლის შედეგად, ხელი აღარ მოაწერა. საქართველოს კი აღარც სთავაზობდნენ, რადგან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები იყო, სასამართლო პროკურატურის ფილიალს წარმოადგენდა.

ჩვენ გვახსოვს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გირგვლიანის საქმეზე, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების განაჩენი იყო, რომელი სტატუსი, რომელი ასოცირების ხელშეკრულება, რა შენგენის ვიზები!

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში პირდაპირ ეწერა, რომ ხელისუფლების სამივე შტო ერთ მუშტადაა შეკრული, რომ დანაშაული დაფაროსო. არჩევნებში სააკაშვილის ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, 2014 წელს, საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა, ანუ უფრო ადრე, ვიდრე უკრაინამ და სხვებმა.

***– ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, რომ სამუშაო კიდევ არის პრესის თავისუფლების, კანონის უზენაესობის კუთხით. არ ვიცი, პრესის თავისუფლების მხრივ კიდევ რა არის გასაკეთებელი. მე, როგორც პრესის წარმომადგენელი, სრულიად თავისუფალი ვარ, ჩვენ არანაირი შეზღუდვა არ გვაქვს, მაგრამ საინტერესოა, ქალბატონი ფონ დერ ლაიენი ამაში რას გულისხმობდა?***

– სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის შთაგონებით იყო და დარჩა ევროკავშირის ორმაგი სტანდარტები.

***– ფონ დერ ლაიენმა ასევე მიუთითა 2024 წლის არჩევნების ნორმალურად ჩატარებაზე.***

– ეს მას შემდეგ, რაც 2020 წელს ამერიკისა და ევროკავშირის ელჩებმა და სხვებმა ერთხმად აღიარეს, რომ არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად ჩატარდა. გახსოვთ, მათი ინიციატივა იყო და ორგანიზაცია „თავისუფალ არჩევნებს“ პარალელური დათვლის შედეგები გადაათვლევინეს. აღმოჩნდა, რომ პირიქით, გადათვლის შედეგად „ქართულ ოცნებას“ ხმები მოემატა.

მაშინ მთელმა დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ საქართველოში გამოაცხადა, რომ არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო, რასაც ვერ ვიტყვით ევროკავშირის არაერთ ქვეყანაზე.

ამის შემდეგ მათთან კითხვა მაქვს: რო-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# შესრულდება თუ არა ევროკომისიის დათქმა სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების თაობაზე?

## ამოსდებენ თუ არა ლაგამს ანტიდასავლურ პროპაგანდას?

მარიამ მჭედლიშვილი



**საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის მონიჭებაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები დაახლოებით ერთ თვეში, დეკემბერში მიიღებენ. მანამდე და მას შემდეგაც (წევრობის მისაღწევად), საქართველოს მოუწევს რეკომენდაციების გათვალისწინება და რეფორმების გატარება.**

### გააჩერებენ თუ არა ანტიდასავლურ პროპაგანდას?

ევროკომისიის ერთ-ერთი დათქმა ეხება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის დაახლოებას ევროკავშირის პოლიტიკასთან, ასევე ევროკავშირის შესახებ დეზინფორმაციასთან ბრძოლას. ამ ორი მიმართულებით აქამდე საქმე რთულად იყო.

მმართველმა პარტიამ წამოიწყო აშკარა (განსაკუთრებით, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ) ანტიდასავლური კამპანია. მისი მთავარი კომპონენტები გახდა „დასავლეთი ომში გვითრევს“, „გლობალური ომის პარტია გვიტევს“, „საქართველოში უნდათ გადატრიალება“, „ჯგუფებს რევოლუციისთვის ამზადებენ“. ამ რიტორიკის გასაძლიერებლად „ქართულმა ოცნებამ“ თავისი რიგებიდან „ხალხის ძალა“ ჩამოაყალიბა.

შესაძლოა, შექმნილ სიტუაციაში მმართველმა გუნდმა თვითონაც თავი შეიკავოს და „ხალხის ძალის“ მგზნებარებაც დააცხროს.

ამავე პროპაგანდას ავრცელებენ ღიად პრორუსული ჯგუფები. მათი წარმომადგენლები ევროკომისიის დადებითი დასკვნის გამოტანის შემდეგაც იმეორებენ, რომ დასავლეთს საქართველოში უნდა არეულობის მოწყობა, ამ გადაწყვეტილებით კი ეს პროცესი ცოტა ხნით გადავადდა.

საქართველოს ყოფილი გენპროკურორის, ოთარ ფარცხალაძის (მას ბრალად ედება რუსეთის „ფსბ“-სთან კავშირი და რუსული გავლენების საქართველოში გავრცელება) დასანქცირება აშშ-ის მხრიდან იმის მანიშნებელია, რომ დასავლეთი ინფორმირებულია საქართველოს გარკვეული ჯგუფების ფარულ კავშირებზე რუსეთთან.

ბოლო პერიოდში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებები ხშირად ევროკავშირის პოლიტიკის საპირისპირო იყო. ასეთი გადაწყვეტილებაა, მაგალითად, რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენა.

• • •

### რა მდგომარეობაა არჩევნების მხრივ?

2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებამდე წელიწადზე ნაკლები დრო დარჩა. ევროკომისიაში მიიჩნევენ, რომ მთელი საარჩევნო პროცესი უნდა იყოს სამართლიანი, კონკურენტული, თავისუფალი და გამჭვირვალე.

მოსალოდნელია, რომ პროცესს უცხოელი დამკვირვებლები გააკონტროლებენ. მათი დაკვირვება ბევრს ნიშნავს.

ამასთან, არსებობს არჩევნებში რუსეთის მხრიდან ფარული ჩარევის საფრთხე. როგორც წესი, ასეთი ჩარევა უცხოელი დამკვირვებლებისთვის თვალსაჩინო არ არის ხოლმე.

საქართველოს მოკავშირე მოლდოვამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი შარშან მიიღო. დეკემბერში, დიდი ალბათობით, ევროპული საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, მოლდოვასთან გაწევრიანებაზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

ახლახან, 6 ნოემბერს, ევროპულ მოლდოვაში გაიმართა ადგილობრივი არჩევნები. იქ ევროპულმა ძალებმა გაიმარჯვეს, თუმცა, ნაკლები წარმატებით. პირველი ტურის შემდეგ მმართველი პარტიის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ არჩევნებში ჩაერია რუსეთი, რომელმაც ფსონი დადო დამნაშავეთა სამყაროზე და იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც თავს მედასავლეთეებად ასაღებენ.

მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარის (მმართველი პარტიის ლიდერის) იგორ გროსუს თქმით, არჩევნები წარიმართა უცხო სახელმწიფოს უპრეცედენტო ჩარევის, ბინძური ფულისა და იმ პროპაგანდის პირობებში, რომელიც საზოგადოებაში უნდობლობას თესავს.

– კრემლმა და პრორუსულმა ძალებმა ამ კამპანიაში ჩადეს ყველაფერი, რაც შეეძლოთ. მათ ფსონი დადეს არა მარტო კრიმინალურ დაჯგუფებებზე, არამედ იმ პოლიტიკოსებზე, რომლებიც პროდასავლურობით ინიღბებიან, – აღნიშნა მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარემ.

არსებობს ინფორმაცია, რომ რუსეთი ფარულად ერევა სხვადასხვა სახელმწიფოს არჩევნებში. ოქტომბერში აშშ-ის დაზვერვამ გააგზავნა მოხსენებები თავის საელჩოებში 100-ზე მეტ ქვეყანაში. მასში საუბარია იმაზე, რომ რუსეთი თავისი ჯაშუშების, სოციალური ქსელებისა და სახელმწიფო მედიის საშუალებით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს აკარგვინებს დემოკრატიული არჩევნების რწმენას.

ითვლება, რომ რუსეთი სლოვენიაშიც აქტიურობდა. არჩევნების შედეგად სლოვენიის პრემიერი გახდა კრემლის მეგობარი რობერტ ფისო, რომელიც რუსეთისთვის სანქციების დაწესების წინააღმდეგ გამოდის.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოკუპანტი რუსეთი უყურადღებოდ არც საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს დატოვებს. კრემლმა, მოლდოვას მსგავსად, შეიძლება ფსონი დადოს იმ ძალებზე, რომლებიც თავის თავს პროდასავლურს უწოდებენ.

# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს შეხვდა.

მთავრობის მეთაურს საფრანგეთის პრეზიდენტმა ელისეს სასახლეში უმასპინძლა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროკომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე – საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი რეკომენდაციის მიცემაზე.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ევროკომისიის ეს გადაწყვეტილება ისტორიულია. საქართველო დეკემბერში კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია, რაც ჩვენი ქვეყნის ევროპულ მომავალს განსაზღვრავს. ირაკლი ღარიბაშვილმა ემანუელ მაკრონს ამ გზაზე თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა, ხაზი გაუსვა საფრანგეთის, როგორც ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის, პოლიტიკური და პრაქტიკული მხარდაჭერის მნიშვნელობაზე და იმედი გამოთქვა, რომ ეს კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც დაეხმარება საქართველოს, წარმატებით გადავიდეს გაწევრიანების შემდგომ ეტაპებზე.

შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა და ემანუელ მაკრონმა ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს.

საუბარი ასევე შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების გარემოს.

მხარეებმა არსებული გამოწვევების გადაჭრის გზებზე იმსჯელეს და ისაუბრეს იმ პოზიტიურ როლზე, რომელიც საქართველოს შეუძლია ითამაშოს სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად.

ირაკლი ღარიბაშვილმა ემანუელ მაკრონს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საქართველოს ევროპული მომავლის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და საქართველოში მიიწვია.

# პეტრე მამრაძე: „ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი საქართველოს გაცილებით ადრე ეკუთვნოდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დესაც თვითონ თქვენ, ევროკავშირი და ყველა ორგანიზაცია მოუწოდებდით, რომ საქართველოში არჩევნები თავისუფალია და სამართლიანი, რის საფუძველზე ამბობთ, რომ არჩევნების ჩატარება უნდა უზრუნველვყოთ?

ოლიგარქიზაციაზე უნდა ვთქვა, ოქრიაშვილები და ნაყოფიები, ხაზარაძეები და ჯაფარიძეები, მილიონერები და მულტიმილიონერები დგანან ტელევიზიის ღია ეთერში და ყვირიან, რომ ივანიშვილი არის ოლიგარქი და, როგორც ოლიგარქი, საქართველოს მართავსო. კაცო, როგორც „ოლიგარქი“ რომ გახრჩობდეს, შენ ხმას ამოიღებდი?

ოქრიაშვილები და ხაზარაძეები სააკაშვილის დავალებებს რომ ასრულებდნენ, მაშინ ხომ ვერ ბედავდნენ რაიმეს თქმას?! ამიტომ ეს ხომ ლუსტრაციაა. შენ რომ დგახარ და ყვირი, ეს ხომ პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ შენ არაფრის გეშინია. ეს იმას ნიშნავს, უსაფრთხოება გარანტირებული გაქვს.

***– ბევრს უნდა, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება თავის თავზე მიიწეროს. ამ საკითხში ბიძინა ივანიშვილის დამსახურება თუ არის?***

– გადამწყვეტი დამსახურებაა. თუმცა, ბიძინა ივანიშვილი არაფერს მართავს. წლების წინ კვირიკაშვილი რომ გაუშვა, ივანიშვილი ტელევიზიით გამოვიდა და თქვა: თქვას კვირიკაშვილმა, ამდენი ხანი პრემიერი იყო, ერთხელ თუ დავურეკე. მე კი არ ვმართავ, მე ვცდილობ, გავაკონტროლოო. ეს საქმეს ძალიან შველის.

მისი გუნდის წევრებმა ძალიან კარგად იციან, რომ თუ ჩარჩოებს გასცდებიან (მოგეხსენებათ, ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის), თუ რაღაც შეეშლებათ, სხვა გზას დაადგებიან, ან თუ რაღაცას ჩაიდენენ, მაშინ შეიძლება გამოვიდეს ივანიშვილი და თავისი სიტყვა თქვას.

ამიტომაც არის, რომ ამდენი წელია „ოცნება“ ხელისუფლებაშია, მაგრამ არავითარი მასშტაბური დარღვევები არ ყოფილა. საქართველოს შესანიშნავი რეიტინგი აქვს. ყველაფერი ამის გამო, ევროკავშირმა უკან დაიხია, თავისი ორმაგი პოლიტიკა ველარ გააგრძელა და სტატუსის მოცემაზე რეკომენდაცია გასცა.

ეკონომიკა

## „საქართველოს საზღვარზე 9 თვეში 1.5 მლნ-ზე მეტი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა“

– წელს 1.5 მლნ-ზე მეტი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა საქართველოს საზღვარზე – 2022-2023 წლებში ქვეყანაში სულ მცირე 40 ათასი რუსეთის მოქალაქე დარჩა, – ამის შესახებ PMCG-ს კვლევაშია აღნიშნული.

– 2022 წელს, უკრაინაში რუსეთის ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის არაერთი მოქალაქე შემოვიდა საქართველოში. რუსების შემოდინებას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. შედეგად, მნიშვნელოვანია საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლა-გასვლის დეტალური მონიტორინგი.

2023 წლის პირველ 9 თვეში 1.5 მილიონზე მეტი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა საქართველოს საზღვარზე, დამატებით 20 ათასი გავიდა, რაც საქართველოდან რუსების გადინების საწყის ეტაპზე მიუთითებს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ რუსეთის მოქალაქეების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე მომდევნო თვეებში ეტაპობრივად შემცირდეს.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ ცხოვრობს საქართველოში. PMC კვლევითი ცენტრის კალკულაციით, საქართველოში 2022-2023 წლებში ჩამოსული სულ მცირე 40 ათასი რუსეთის მოქალაქე დარჩა, – ვკითხულობთ კვლევაში.

## რომან გოცირიძე: საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების წესის ცვლილებით მომავალ 3 წელში ბიუჯეტი 60 მლნ-ს დაზოგავს



საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების წესის ცვლილებით მომავალ 3 წელში ბიუჯეტი 60 მლნ-ს დაზოგავს, – ამის შესახებ პარლამენტში ოპოზიციონერმა დეპუტატმა რომან გოცირიძემ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

კანონპროექტით, რომელიც პარლამენტში განიხილება, საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების ზრდა ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პროპორციულად აღარ მოხდება.

გოცირიძის თქმით, ეს მისი კანონპროექტის პირდაპირი კოპირებაა, რომელიც გასულ კვირაში პარლამენტმა ჩააგდო.

– ჩემი ერთ-ერთი კანონპროექტი ერთი კვირის წინ ჩააგდეს საკომიტეტო მოსმენაზე და ხვალ, მისი ზუსტი ასლი გამოაქვს ოცნებას, საკუთარი ინიცირებული. საქმე ეხება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დაფინანსების წესში ცვლილებას.

მშპ-ს აღარ მიებმება ტელევიზიის დაფინანსება. როგორც იქნა, ეს მოხდება. ჩემი ჯერ კიდევ ქუთაისის პარლამენტში დაწყებული ბრძოლა დასრულდება და ამის გამო ძალიან გახარებული ვარ. ბიუჯეტი კი, ამით მხოლოდ მომავალ 3 წელში 60 მლნ ლარს დაზოგავს, რომელიც მოსახლეობას მოხმარდება.

არ მწყინს, რომ ეს გამოდის არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მთელი საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის, მათ შორის ოპოზიციონერი წევრების ინიცირებით. მიჩუქნია, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, – განაცხადა გოცირიძემ.

ცნობისთვის, არსებული წესის ძალაში დარჩენის შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროგნოზო დაფინანსდება 2024 წელს 110.3 მლნ უნდა ყოფილიყო, 2025 წელს 119.5 მლნ, 2026 წელს 129.2 მლნ ლარი, 2027 წელს კი, 129.8 მლნ ლარი.

## რა იცვლება 3 იანვრიდან დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის?

საპენსიო სააგენტო დაგროვებითი პენსიის შესახებ კანონში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით განმარტებას ავრცელებს და მოქალაქეებს აფრთხილებს.

სააგენტოს ცნობით, 2024 წლის 3 იანვრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში, განხორციელებული ცვლილების თანახმად, პორტფელების განაწილების პროცესი ამოქმედდება.

კერძოდ, 3 იანვრიდან ყველა ის პირი, ვისაც 2023 წლის 6 აგვისტოდან 2023 წლის 6 სექტემბრამდე არ მიუღია გადაწყვეტილება, კვლავ დაბრუნდება კონსერვატიულ (ნაკლებადრისკიან) პორტფელში.

სააგენტოს ცნობით, აღნიშნული ცვლილების შემდეგ, სქემის ყველა მონაწილეს ექნება საინვესტიციო პორტფელის ყოველ 12 თვეში ერთხელ შეცვლის უფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „არ დატოვოთ, ბიჭებო, არადუ, მე დამტოვეთ!“

**გავრძელებთ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან ინტერვიუს. გუგეშაშვილი გაერთიანებული მტრის მიერ ოჩამჩირის შტურმით აღების მცდელობასა და ავთო იოსელიანის გმირულ დაღუპვას იხსენებს**

***– ქალბატონო დოდო, როგორ დაიწყო და წარიმართა გაერთიანებული მტრის მასობრივი შემოტევა ოჩამჩირის რაიონზე?***

– კოჩარის დაცემიდან რამდენიმე დღეში, ჩვენი დაზვერვის ინფორმაციით, შამილ ბასაევის, კაზაკების, ყაბარდოელების, ადიღეელების, კავკასიელ მთიელ ხალხთა კონფედერატების, რუსების მოხალისეების, ადგილობრივი სეპარატისტების გაერთიანებული რაზმები დიდი ძალებით ოჩამჩირის შტურმით აღებას აპირებენ. სათითაოდ ვაფრთხილებ ყველა პოზიციას, მთელი ძალების მობილიზაციით, პოზიციები და პოსტები გააძლიერონ.

ამ დროისთვის უკვე შექმნილია 24-ე ბრიგადა გია ვაშაკიძის მეთაურობით (1992 წლის ოქტომბერში, ადგილობრივი და მხედრიონის მეომრების ბაზაზე), 27-28 ოქტომბერს კი ცაგერას ბატალიონი შეიქმნა სოსო სილაგაძის მეთაურობით.

მტრის ძალების მობილიზება ჩრდილოეთის მიმართულებაზე შეინიშნება. ყველანაირი ლოგიკით, დარტყმა მოხდება არადუს, ცაგერას, მერკულის მიმართულებით. შეეცდებიან, მერე ტამიშზე ჩამოსვლას, გაწყვეტენ ტამიშს და წამოვლენ ოჩამჩირეზე.

სოფელ არადუში ორი ძირითადი პოზიციაა: მოქვის საზღვართან ახლოს, სოფლის ბოლოში, ტრასაზე. ამ პოზიციაზე ასურეთელი „ხედრიონელები“ და ადგილობრივი, უმამაცესი არადუელები ერთად დგანან; მეორე – სტალინის ქუჩაზე ზემოთ, ტყესთან ახლოს. მეორე პოზიცია სამ პოსტადაა გაყოფილი. ორ პოსტზე უშბას მხედრიონი დგას, ერთზე ადგილობრივები. არადუელები ორლულიანი თოფებითაც იცავენ მშობლიურ სოფელს.

არადუს ვუკავშირდები. ე.წ. ნეიტრალურში (ტყის ზოლი) დაზვერვის ჯგუფის გაგზავნას ვთხოვ. ამ დროს გია ვაშაკიძე სხვა პოზიციებზეა, ჯაბა იოსელიანი – თბილისში. წინა დღეებში წავიდა ოჩამჩირიდან, პარლამენტის გახსნაზე დასასწრებად.

8-საათიანი მორიგეობები აქვთ ბიჭებს პოსტებზე. განსაკუთრებით გამთენიისას არიან მაქსიმალური ყურადღებით (ამ დროისთვის იციან უკეთურებმა შემოტევები). ასურეთელები დაზვერვაზე გადიან. მცირერიცხოვან ჯგუფს შეამჩნევენ (როგორც ჩანს, ისინიც დაზვერვაზე არიან), ბოგირის ქვემოთ გაწვებიან, ბოგირზე გადაივლის მტერი. არ ამჟღავნებენ ჩვენები თავს. ლამის სახეში სცემთ არყის სუნი ბიჭებს; თავზე ბოხოხიანი კაზაკი, ვანია რუსი, მწვანე ლენტიანი ორი ჩეჩენი, ორი გაურკვეველი გარეგნობის კონფედერატი, ერთი აფხაზი სეპარატისტი და ერთიც სომეხი ინფორმაციის გასატანად მოიკლაკნებიან.

დილის 6 საათია. ჯერ ტამიშზე გაისმა სროლა, მერე გაგანი ატყდა არადუს, ცაგერას, მერკულას მიმართულებით. მსუბუქად შეიარაღებულები არიან არადუს დამცველები. მხოლოდ ირაკლი ბელთაძეა ყუმბარმტყორცნით.

ზედა, ტყის მიმართულებიდან ყველა სახის მსხვილკალიბრიან იარაღს (ყუმბარმტყორცნი, ნაღმტყორცნი, „დშკ“) ესვრიან ქვედა, ასურეთლებისა და არადუელების ერთიან პოსტს. მეორე პოზიციის პოსტებს ჯერჯერობით, რატომღაც, „ტრასირებს“ ესვრიან. გიზო ყურაშვილის სახლშია უშბას შტაბი. პოზიციებიდან ახლახანს დაბრუნებული ბიჭები ისევ წინა პოზიციებზე გარბიან. ირაკლი ბელთაძემ ტარიელ ფორჩხიძის სახლთან გადაირბინა (ტარიელიც 24-ე ბრიგადაშია) და ყუმბარმტყორცნს ოსტატურად ისვრის. რამდენიმე წამით თითქოს სროლა შენელდა, მობრუნდა ირაკლი, ხედავს, გზის გასწვრივ, ტყეში არიან მრავლად. ინტენსიური ცეცხლი წამოვიდა ტყიდან სოფლის მიმართულებით, „აგს“ (სადგამის ავტომატური ყუმბარმტყორცნი) ჩართეს მტარვალებმა ყველა სხვა იარაღთან ერთად. ნამსხვრევებად იშლება თითოეული ნამსხვრევი კიდევ და კიდევ, თითქოს ბოლო არ უჩანს „აგს“-ის ყუმბარის ნამსხვრევებად გაშლას.

ასურეთისა და უშბას პოზიციებს შორის დაჭაობებული ადგილებიდან შემოუტიეს, ტყის იქით, ტუნგოების მხრიდანაც შემოცვივდნენ გადამთიელები, წინა, მოქვის მხრიდანაც. სამი მხრიდან შემოერტყნენ ჩვენს პოზიციებს ჩრდილო კავკასიელი კონფედერატები და სეპარატისტები. შეუსვენებლივ აყეფებს არადუელი ემზარ ლეთოდიანი ტყვიამფრქვევს, ცელავს მომხდურებს. მის გვერდით, 16-17 წლის ბიჭი, ჩაკვეტაძე, ისევე მამაცურად იბრძვის, როგორც თითოეული არადუელი და არადუს დამცველი.

## ავთო იოსელიანმა საკუთარი სხეულით გადააფარა იატაკზე დავარდნილი ხელყუმბარა



ვახტანგ, რომან, ვიქტორ კოპალიანები ერთდროულად წამოიმართებიან და ტყვიის ქარ-ცეცხლში გადარბენით, ახალ ადგილას ირჩევენ მტრის დასადუღებლად. კობა ჯანხოთელი, თემურ ნავერიანი და ელგუჯა კოპალიანი ერთ-ერთ შემოსასვლელ ზოლს კეტავენ. შამილ ბასაევი თავისი ხალხით წინ მოიწევს, ჩვენების პოსტებისკენ. მათ მერკულის მხრიდან არადუს მიმართულებით მომუშავე „დეშეკაც“ ეხმარება. ხელებით ეყრდნობა მიწას ექვსი ტყვიით დაცხრილული ჩაკვეტაძე. შეკრულ მუშტში არადუს მიწა აქვს ჩაბღუჯული. ქართული მიწით ხელში შეეგება უკვდავებას ეს პატარა ბიჭი.

გია კობიაშვილი, მამუკა ბუცხრიკიძე, აჩიკო ძულიაშვილი, გია ლომთაძის სახლთან ახალ პოსტს აყენებენ, იქედან ადუღებენ მომხდურებს. შადანიების სახლთანაც ორი სახელდახელო პოსტი გააკეთეს ირაკლი ბელთაძემ, ელგუჯა კანკავამ, გია არაბულმა. გაიშალა ჩვენი პოზიციები. ასხლეტილი ტყვიით თავში დაიჭრა გია არაბული, ბრძოლას განაგრძობს მაინც. გიზოს და შადანიების სახლს შორისაც შემოიჭრნენ სეპარატისტები. მიაწყვეს ერთმანეთზე არადუელებმა.

საშინელი გრუხუნ-კაკანი ისმის ცაგერასა და მერკულას მხრიდან. ღრმად არიან შეჭრილი მომხდურები. გურული ბაბუ, გურული, მწითური მავნე და კალიოკა შადანიების სახლთან ახლოს, ცელავენ გაშმაგებულ მომხდურებს. მწითური მავნე გადარბის, ფეხდაფეხ მისდევენ ტყვიები, ზიგ-ზაგებით გარბენის დროს თითქმის ცხვირწინ წაუწვება კონფედერატს, ქვემოდან ნასროლი ტყვიებით აცლის სახეს მეწინავეს. გააფთრებით იბრძვიან არადუელები. მტკაველს არ თმობენ სიცოცხლის ფასად!

***– რა ხდება ამ დროს უშუალოდ ასურეთელების პოზიციებზე?***

– ასურეთელებისა და ადგილობრივების ქვედა პოზიციებზეც შეიჭრებიან სეპარატისტები. ავთო და გუჯა გოცირიძეები ინტენსიური ცეცხლით ელობებიან წინ. არადუელები, გოჩა ბექაური და გურგენიძეები ცეცხლის რკალს კრავენ, ხედავენ, როგორ ენარცხებიან სახედაწითლებული მომხდურები მიწაზე. მწვანე ლენტიანების და ბოხოხიანების გორა დააყენა ტყვიამფრქვევით თორნიკე კაპანაძემ.

სეპარატისტის ტყვია არადუელ ვაჟკაცს („გრუზინ ნე უდაჩნოვო ცვეტა“), ალბინოსს ხვდება. ვერ გამოჰყავთ დაჭრილი ბიჭებს. ბესო მურუსიძე ხელყუმბარებით გლეჯს დამპყრობლებს, დათო სამარგანიშვილი და ზვიად ტოგონიძე შეშლილებივით, ღრიალით გაიჭრებიან სეპარატისტების მიმართულებით სროლა-სროლით. შევარდება თბილისელი, კალმით ნახატი სერგო ბოკუჩავა დაჭრილი არადუელის გამოსაყვანად. სამშვიდობისკენ მოჰყავს დაჭრილი, თვითონაც მძიმედ დაიჭრება... სოსო გურგენიძე და დათო ავალიანი შევარდებიან ახლა ორთავე დაჭრილის გამოსაყვანად.

„არ დატოვოთ, ბიჭებო, არადუ; მე დამტოვეთ!“ – სთხოვს სერგო ბიჭებს. თვალები ელულება სამშობლოს წინაშე ვალმოხდილ ბიჭს, ბოლო ამოსუნთქვას „დედა“ ამოაყოლა მხოლოდ...

კობა გურგენიძე და კახა კობახიძე გორაკს იკავებენ. იქედან ცელავენ პირსისხლიანებს.

მოგერიებულია პირველი შემოტევა. არ ცხრებიან მომხდურები. ცაგერას მხარეს, ყანებს იქით, არხებით შემოდიან კონფედერატების დამატებითი ძალები. დუღს არადუ, 12-საათიანი განუწყვეტელი ბრძოლა ვერ აკრთობს არადუს დამცველებს. სოხუმის 10 ომონელ ვაჟკაცს ვაგზავნი „პადმოგაზე“ არადუში. არადუ-ცაგერას საზღვარს ამაგრებენ.

რაციაში ჯაბა იოსელიანის ხმა მესმის, ცაგერასა და მერკულაში იბრძვის დაცვის ბიჭებთან ერთად მონაცვლეობით. თბილისიდან ჩამოფრენილა სასწრაფოდ სოხუმში, ინფორმაციის მიღებისთანავე. თვითმფრინავში გამოუცვლია ტანსაცმელი და ჩვეულებრივ, მეომრის ფორმით და შეიარაღებით, ჩვენების პოზიციებამდე ბრძოლით შეჭრილა. ღამით სნაიპერი არ აძლევს არადუს დამცველებს საშველს. როგორც იქნა, გათენდა. არადუს ბებერი მიწა მოფენილია მომხდურთა გვამებით. ათასი ჯურის ბოევიკებს შორის ადგილობრივი ტარბა ამოიცნეს არადუელებმა. ფეხბურთს თამაშობდა თურმე ომამდე ტარბა.

„ოსტანკინოს“ ტელევიზიამ აჩვენა მოგვიანებით „უაზიკზე“ დამაგრებული „დეშეკა“ როგორ ცხრილავდა მერკულის მხრიდან არადუს.

***– ამ ფონზე მერკულასა და ცაგერაში რა მდგომარეობაა?***

– ცაგერას ადგილობრივი, უვაჟკაცესი ბიჭები იცავენ. რუსეთ-საქართველოს ომის დროს განახევრდა მამაკაცებისგან ცაგერა. ზურგი არ უჩვენებიათ მომხდურებისთვის ბიჭებს.

მერკულაში, თბილისის მხედრიონის პოზიციებზე, გავეშებული ბრძოლებია. „სინკარებით“ გადაკეტილი პოზიციის იქით სკოლისკენ სეპარატისტების პოზიციებია. სინკარებს აქეთ დგანან თბილისელები. ოქროს უბნელი ერიკო იმნაიშვილი და გია ძნელაძე სინკარების მარცხენა მხარეს არიან ჩაწოლილები, ხედავენ, როგორ ენარცხებიან მომხდურები, ბიჭების ტყვიების ცეცხლში მოყოლილები.

ნიკუშა ჭუჭულაშვილი ზუსტად ესვრის მომხდურებს ყუმბარმტყორცნიდან, ჰაერში იფანტებიან მერე სეპარატისტები. უცებ, საიდანღაც, „06“ მარკის ჟიგული შევარდა სოფელში, ჩვენების პოზიცია ქარივით გაიარა. ღრიალით და ხელების ქნევით ცდილობს ნაპო დანელია შეჩერებას. კოტე იოსელიანი (ჯაბა იოსელიანის ერთადერთი შვილი) და გოგა ყურაშვილი „სინკარებს“ იქით მოექცევიან განუწყვეტელი სროლით; ცდილობენ, თავი არ აანევინონ მტერს, საშუალება მისცენ იგულში მსხდომთ ჩვენების პოზიციაზე მოსაბრუნებლად. სკოლიდან დაცხრილეს კონფედერატებმა მანქანა და შიგ მყოფი ბიჭები.

ყველანაირი მსხვილკალიბრიანი იარაღით უტევენ გაერთიანებული კონფედერატები და სეპარატისტები მერკულას ისევე, როგორც არადუს და ცაგერას. ნუკრი ჭელიძე და პაატა ბუაძე რომელიღაც სახლის სახურავზე ავარდებიან, უადვილდებათ იქედან მიზანში სროლა. საშინელი გრუხუნ-გნიასია. შტურმით მოდიან ჩვენი პოზიციების ასაღებად სეპარატისტები. ნაბდით შემოსილი იბრძვის გოლიათი ბაჭია ბრეგაძე. ნირიოკა“ და სომბრეროიანი მიშა ჭაბუკიანი საიდანღაც შემომძვრალ სეპარატისტებს მიწაზე აგდებენ და მათ განიარაღებასაც ვერ ასწრებენ, ისე უგრეხენ ხელ-ფეხს.

საოცრებებს ჩადის დათო მამულაშვილი, აკრობატული ნახტომით გადაევლება „სინკარებს“, დაცვას („პრიკრიტას“) უკეთებენ ფირანიშვილები; მერე კოტე იოსელიანი და ბიჭები ერთად უტევენ მომხდურებს, უკვე თავიანთ პოზიციებზე. მთლად გაგიჟდა მტერი. ოფლი და სისხლი წურწურით დასდით ბიჭებს გავარვარებული სხეულებიდან, ნაბიჯით არ იხევენ უკან. ღმუის მერკულა, ღრჭიალებს დაჭრილი მიწა. მიუხედავად იმისა, რომ ასჯერ მეტია მომხდური არადუს, ცაგერას და მერკულის დამცველებზე, ვერ განახორციელეს მზაკვრული გეგმა გროზნოდან გამოგზავნილმა კონფედერატებმა თუ ადგილობრივმა სეპარატისტებმა. ვერ შემოეწყვნენ ოჩამჩირეს!

## მედიცინა

# რატომ არის კარგი უმი ბოსტნეულის წვენები



**წვენების მიღებისას აუცილებლად გაითვალისწინეთ შემდეგი:**

იყავით მომთმენი. გახსოვდეთ, რომ ნატურალური წვენების სახით მიღებული საკვები მთელი ორგანიზმის განწმენდას ემსახურება. ამას შესაძლოა ახლდეს ავადმყოფური შეგრძნებანი სხეულის ამა თუ იმ ნაწილში, რაც წვენების უარყოფით ზემოქმედებად არ უნდა მიიჩნიოთ, მით უმეტეს, თუ ისინი ახალია და მომზადების დღესვე გამოიყენება. პირიქით, ეს კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ ორგანიზმში დაიწყო განწმენდისა და დარღვეული ფუნქციის აღდგენის პროცესი; უნდა გვახსოვდეს: მრავალი წლის მანძილზე დაგროვილი ტოქსინები და წიდები ერთბაშად არ გამოიდევნება. ყოველივე ამას დრო ესაჭიროება.

ნატურალური უმი საკვებისა და ხილ-ბოსტნეულის წვენების მიღება მოზღვავებული ენერგიის, სიცოცხლისუნარიანობისა და ჩინებული ჯანმრთელობის შეძენაში გვეხმარება.

### ბაბუაწვერას წვენი

ბაბუაწვერას წვენი მნიშვნელოვანი მატონიზებელი (გამაგრილებელი) საშუალებაა; აუცილებელია მაღალი სიმჟავიანობის ნეიტრალიზაციისა და ორგანიზმის ტუტე-შემადგენლობის ნორმალიზაციისთვის.

ბაბუაწვერას წვენი შეიცავს კალიუმის, კალციუმისა და ნატრიუმის განსაკუთრებით მაღალ პროცენტს; ის მაგნიუმისა და რკინის ყველაზე დიდ წყაროს წარმოადგენს. მაგნიუმი საჭიროა ჩონჩხის გასამაგრებლად და ძვლების დარბილების პროცესის თავიდან ასაცილებლად, ხოლო კალციუმის, რკინის, გოგირდისა და მაგნიუმის ერთიანობა დადებითად მოქმედებს სისხლის შემადგენლობის გაუმჯობესებაზე, ამაგრებს ორგანიზმის უჯრედებს, ფილტვებისა და ნერვული სისტემის ქსოვილებს.

ბაბუაწვერას ფოთლებისა და ფესვების წვენის ნარევი სტაფილოს, თალგამის ფოთლების წვენებთან ხერხემლისა და ძვლების სხვა დაავადების მოსარჩენად გამოიყენება, ის ამაგრებს კბილებს და იცავს პარადონტოზისგან.

### ნივრის წვენი

ნივრის წვენი, მიუხედავად მისი უსიამოვნო სუნისა, ძალზე სასარგებლო და ეფექტურია ორგანიზმის სწრაფი განწმენდისთვის.

ნიორში ეთეროვანი ზეთების არსებობა იმდენად ქმედითია, რომ ისინი ხელს უწყობენ ფილტვებისა და ბრონქების გასუფთავებას დაგროვილი ლორწოსგან, ასევე ხელს უწყობენ ფორების მეშვეობით შხამების გამოყოფას ორგანიზმიდან.

ნივრის წვენი წინააღმდეგობას უწევს და ანადგურებს კუჭ-ნაწლავში პარაზიტებსა და დეზინტერიის გამომწვევ ბაქტერიებს. ამ დროს საჭმელი უნდა იყოს ადვილად მოსანელებელი; არ უნდა ხდებოდეს წიდებისა და სხვა ნარჩენების გაჩერება ორგანიზმში, რისი მიღწევაც შესაძლებელია დიდი რაოდენობის უმი ბოსტნეულის მიღებით.

### ხახვის წვენი

ხახვის წვენს გააჩნია ნივრის წვენზე ნაკლებ მძაფრი სუნი და უცილობლად წარმოადგენს ჯანმრთელობის გამაჯანსაღებელ საშუალებას. ხახვის წვენი შედგება ისეთივე სასარგებლო ნივთიერებებისგან, როგორც ნივრის წვენი.

### ოხრახუშის წვენი

ოხრახუშის წვენი ძლიერმოქმედია, ამიტომ მისი სუფთა სახით 30-60 გრამზე მეტის მიღება დაუშვებლად მიგვაჩნია. უკეთესია, თუ მითითებულ დოზას შევურევთ სტაფილოს, სალათის, ისპანახის ან ნიახურის წვენებთან.

უმი ოხრახუშის ახალი წვენი ხელს უწყობს ჟანგბადის ცვლას ორგანიზმში და თირკმელზედა და ფარისებური ჯირკვლების ნორმალური ფუნქციის შენარჩუნებას. მასში შემავალი ელემენტები ისეთ შეფარდებაში იმყოფებიან, რომელიც სისხლძარღვების, განსაკუთრებით, კაპილარებისა და არტერიის გამაგრებას ეხმარება.

ოხრახუშის წვენი ჩინებული საშუალებაა საშარდე-სასქესო ტრაქტის დაავადების სამკურნალოდ. ის ეფექტურად მოქმედებს თირკმელებსა და საშარდე ბუშტში კენჭების დაგროვების, ნეფრიტის, შარდში ცილების და ა.შ. წინააღმდეგ. ოხრახუშის წვენი წარმატებით გამოიყენება წყალმანკისას. აღსანიშნავია მისი მაღალი ეფექტურობა თვალისა და მხედველობის ნერვის სისტემის ყველა დაავადების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, რქოვანი გარსის დაწყლულება, კატარაქტა, კონიუნქტივიტი, ოფტალმია ყველა მის სტადიაში ან თვალის გუგის მოდუნება ეფექტურად იკურნება უმი ოხრახუშის წვენის მეშვეობით – სტაფილოს და ნიახურის წვენების ნარევთან.

ოხრახუშის წვენი, განსაკუთრებით ჭარხლის ან ჭარხალ-სტაფილოს, ასევე კიტრის წვენებთან, წარმატებით გამოიყენება მენსტრუალური ციკლის დარღვევისას. ამ დაავადებით გამოწვეულ სპაზმებს ზემოხსენებული წვენების ნარევის რეგულარულად მიღება ძალიან ხშირად შველის; ამასთან, მკურნალობის პერიოდში დიეტიდან გამორიცხება კონცენტრირებული სახამებელი, შაქარი და ხორცის პროდუქტები.

### მწვანე წიწაკის წვენი

მწვანე წიწაკის წვენი გამოირჩევა სილიციუმის (კაჟბადის) სიუხვით, რომელიც საჭიროა ფრჩხილებისა და თმისთვის. ის სასარგებლოა თების ჯირკვლებისა და ცრემლის სადინარებისთვის. მისი 25-50 პროცენტამდე ნარევი სტაფილოს წვენთან წარმოადგენს ლაქებისგან კანის განწმენდის ჩინებულ საშუალებას.

იმ პირებისთვის, რომლებიც იტანჯებიან ყაბზობით, კუჭ-ნაწლავში გაზისა და ლორწოს დაგროვებით, დიდი შვების მომცემია 500 გრამი წიწაკის წვენისა და ამავე რაოდენობის სტაფილო-ისპანახის წვენების ნარევის ყოველდღიური მიღება. უნდა გვახსოვდეს, რომ წვენების მიღება ყველაზე კარგია უზმოზე, 2-3 საათით ადრე ჭამამდე.

# არსებობს თუ არა ავდეევკის ალყაში მოქცევის საშიშროება?!



ავდეევკასთან ბრძოლები გრძელდება. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, რუსებმა ტორიკონის ულელტეხილისათვის გვერდის ავლა და ავდეევკის კოქსო-ქიმიურ კომბინატთან გაჭრა სცადეს. ეს მარცხით დამთავრდა. მტერმა დიდი ზარალი ნახა და უკან დაიხია. რუსებმა ვერც ამჯერად წაიწიეს წინ. უკრაინულმა არმიამ ავდეევკასთან ფანტასტიკურ წარმატებებს მიაღწია. ამას არ ელოდნენ არც დასავლელი, არც უკრაინელი ექსპერტები.

მარცხმა რუსები ალაშფოთა. პუტინის უშუალო ბრძანებით, ავდეევკის დაბომბვა გაძლიერდა.

ევაკუაციაში მიდიან უკვე ისინიც, ვინც ადრე ამას არ აპირებდა. ავდეევკაც ნელ-ნელა ცარიელდება. დაბომბვებმა განუწყვეტელი ხასიათი მიიღო. მტერი იყენებს რეაქტიულ არტილერიას, თვითმფრინავებს, რაკეტებს.

პარალელურად რუსები ცდილობენ, დაიკავონ რიგი დასახლებული პუნქტი, მათ შორის, ტონენკოე. ამით ავდეევკის გარშემო რკალი საბოლოოდ შეიკვრება. თუ ოკუპანტებმა ეს შეძლეს, უკრაინელებს ორი გამოსავალი დარჩებათ: ან დანებება, ან ალყის გარღვევა და ახალ პოზიციებზე გადასვლა. ამ ეტაპზე რუსებმა ვერც ტონენკოეს და ვერც სხვა მნიშვნელოვანი დასახებული პუნქტის აღება შეძლეს.



# ტონი ბლინკენი სამხრეთ კორეაში ჩავიდა

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი სამხრეთ კორეაში ჩავიდა. ვიზიტი რუსეთ-უკრაინასა და ისრაელში გაჩაღებული ომის ფონზე ხდება. სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობასთან განხილულ იქნება ჩრდილოეთ კორეის მიერ რუსეთისადმი იარაღის მიწოდების საკითხიც.

# ჰამასმა ღაზას სექტორის სამხრეთზე კონტროლი დაკარგა



ისრაელის არმია ისლამური ექსტრემისტული მოძრაობა ჰამასის შევიწროებას განაგრძობს. ამის შესახებ განაცხადა ისრაელის არმიის წარმომადგენელმა გენერალმა ჰაგარიმ.

მოსახლეობის ნაწილი ღაზას ჩრდილოეთი ნაწილიდან სამხრეთში გადადის.

# იწყება მოლაპარაკებები უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით





ევროკომისიის თავმჯდომარემ ურსულა ფონ დერ ლიაინმა განაცხადა, რომ დადგა დრო, დაიწყოს მოლაპარაკებები უკრაინის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ურსულამ ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებები უკვე ამა წლის დეკემბერში უნდა დაიწყოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

## კალეიდოსკოპი

# კანადაში ყველაზე დიდი ბავშვი დაიბადა



კანადაში ქალმა გააჩინა ბავშვი, რომლის წონამ 6,5 კილოგრამი შეადგინა და ექიმების გაკვირვება გამოიწვია.

ბიჭი, რომელსაც სონი დაარქვეს, სამყაროს საკეისრო კვეთის შედეგად 23 ოქტომბერს ონტარიოს პროვინციის ქალაქ კემბრიჯში მოევლინა. ახლშობილის მამის ჩენს ეირსის თქმით, ექიმები და ნათესავები გაოგნებულები აღმოჩნდნენ, როდესაც ბავშვის წონა შეიტყვეს. აღსანიშნავია, რომ სონი მეხუთე შვილია ჩენსისა და მისი მეუღლე ბრიტნისთვის.

მეან-გინეკოლოგის ეის ახიმბისიბვეს თქმით, რომელმაც ქალი ამშობიარა, მისი სხვა ბავშვებიც საკმაოდ მოზრდილები დაიბადნენ.

– ვიცოდით, რომ ესეც დიდი ახალშობილი იქნებოდა, მაგრამ ამდენად დიდს არ მოველოდით, – აღიარა ექიმმა.

სონის წონა რეკორდული აღმოჩნდა. ის ყველაზე დიდი წონისაა მათ შორის, რომლებიც კი ბოლო 13 წლის განმავლობაში დაბადებულან. ბავშვის დედის, ბრიტნის თქმით, მისი მეუღლე და ოჯახის წევრები ყველანი მაღლები არიან და აქედან გამომდინარე თვლის, რომ სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ დიდი ბავშვები უჩნდება.



# მოდელები საზოგადოებაში ეროტიკულ სამოსში გამოდიან

ამერიკელი სუპერმოდელი საზოგადოებაში ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოვიდა. ამის ამსახველი ფოტოსურათი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

32 წლის მანეკენი პაპარაცებმა ნიუ-იორკის ერთ-ერთ რესტორანთან შენიშნეს, სადაც წვეულება იმართებოდა ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის ბექჰემის დაბადების დღესთან დაკავშირებით. მოდელი აღნიშნულ წვეულებაზე ბაფთის დეკორიანი ბრჭყვიალა მინი-კაბაში იყო გამოწყობილი, რომლის ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილი მის შიშველ სხეულს წარმოაჩენდა. აღსანიშნავია, რომ მას ბიუსჰალტერი არ ეცვა.

ასევე ამერიკელ სუპერმოდელს ეცვა შავი კოლგოტი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, ხელში კი მომცრო ხელჩანთა ეკავა. თმები გაშლილი ჰქონდა, სახეზე კი ბრინჯაოს ფერებში გადაწყვეტილი მაკიაჟი ეკეთა.

# ღამის კლუბში დაწყებული კამათი ხმლებით ბრძოლაში გადაიზარდა



ინდოეთში ღამის კლუბის სტუმრებმა მომსახურების საფასურის გადახდაზე უარი განაცხადეს და დაწესებულების თანამშრომლებს ხმლებით დაუპირისპირდნენ.

ხარიანის შტატის ქალაქ პანჩკულას ერთ-ერთ ღამის კლუბში 5 ნოემბერს ორმა მამაკაცმა და სამმა ქალმა დრო გაატარა. დაახლოებით დილის ოთხ საათზე დაწესებულების თანამშრომლებმა შეზარხოშებულ სტუმრებს ანგარიშის გადახდა მოსთხოვეს, რომელმაც 23 ათასი რუპია შეადგინა. აღნიშნული თანხის გამო კომპანიამ სკანდალი მოაწყო და მის გადახდაზე უარი განაცხადა. თანხის გამო დაწყებული კამათი დაცვის თანამშრომლებთან დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამასთან არეულობის ერთ-ერთმა წამომწყებმა ახლობლებს უხმო დასახმარებლად.

მალე დაწესებულებასთან ავტომობილებით უკმაყოფილო კლიენტების 12 ახლობელი მივიდა, რომლებიც ჯოხებითა და ხმლებით იყვნენ შეიარაღებულები. ისინი მისვლისთანავე თავს დაესხნენ დაწესებულების თანამშრომლებს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ დაპირისპირებაში მამაკაცების თანმხლები ქალებიც მონაწილეობდნენ.

18 წლის ოფიციანტი, სახელად ჯაიანტი, დამნაშავეებმა ასი მეტრი მანქანით ათრიეს. შედეგად მან სერიოზული დაზიანებები მიიღო, მათ შორის ორივე ხელის მოტეხილობა და ამჟამადაც საავადმყოფოში იმყოფება. პოლიციამ მომხდარის გამოძიება დაიწყო.

# ალიგატორმა გოგონას თავზე უკბინა



აშშ-ში წყალქვეშ ცურვის დროს გოგონას ალიგატორის თავდასხმის გადატანა მოუხდა.

მარისა კარი მეგობართან ერთად ფლორიდის შტატის ქალაქ ოკალის მახლობლად წყალქვეშ ყვინთვით იყო დაკავებული, როდესაც მას მოულოდნელად თავს დაახლოებით სამი მეტრი სიგრძის ალიგატორი დაესხა.

– ყვინთვისთვის საჭირო ნიღაბი მოვიხსენი სახიდან, შევტრიალდი და წყლის ზევით ორი პატარა თვალი შევნიშნე, – იხსენებს გოგონა.

წამის შემდეგ კი მტაცებელი რეპტილია მას თავს დაესხა და ყბებით თავში ჩააფრინდა. თუმცა, კარიმ სწრაფადვე მოახერხა ალიგატორის ყბებისგან თავის დაღწევა და გაიქცა. მისი თქმით, ის მაშინვე ვერ მიხვდა, რომ მას ალიგატორმა უკბინა.

– იმ მომენტში ტკივილი თითქმის არ მიგრძვნია, ხოლო შემდეგ, როდესაც მივრბოდი და მივხვდი, რაც მოხდა, ტკივილის შეგრძნება გამიძლიერდა, – ყვება კარი, რომელმაც რეპტილიის თავდსახმის შედეგად შუბლზე იარა მიიღო.

# მამაკაცი მინიშნებას ენდო და გამდიდრდა



ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მკვიდრი იმის წყალობით გამდიდრდა, რომ მინიშნებას ენდო და ლატარიის ბილეთი შეიძინა.

ბრაიან ჰიკსის თქმით, 30 ოქტომბერს მან იგრძნო, რომ მარცხენა ხელი ეფხანებოდა. ამან გაახსენა, რომ არსებობს ერთგვარი მინიშნება, რომლის თანახმადაც, თუ მარცხენა ხელი გეფხანება, ეს მოგებას მოგიტანს. მამაკაცი საკუთარ ინტუიციას ენდო და მაღაზიას მიაშურა ლატარიის ბილეთის შესაძენად და საკუთარი იღბლიანობის გამოსაცდელად.

მომენტალური ლატარიის ბილეთის შეძენის შემდეგ ჰიკსმა დაუყოვნებლივ, მანქანაშივე გადაფხიკა ბილეთის დამცავი ფენა და აღმოაჩნდა, რომ 100 ათასი დოლარი მოიგო.

– როდესაც ვნახე, საკუთარ თვალებს არ დავუჯერე, გაოგნებული ვიყავი, – იხსენებს იღბლიანი ამერიკელი, რომელიც მოგებული ფულით ახალი ბინის ყიდვას გეგმავს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვილი სანიოლის ბოლო რეპეტიცია

16 და 19 ნოემბერს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის დასკვნით მატჩებს ითამაშებს. ვილი სანიოლის გუნდი ჯერ შოტლანდიას დაუხვდება, ხოლო შემდეგ, ვალიადოლიდში, ესპანეთს ეწვევა.

მოახლოებული მატჩებისთვის მზადებას, ვილი სანიოლის გუნდი, 13 ნოემბერს დაიწყებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა 25 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარე:** გიორგი ლორია (დინამო, თბ), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ალ ახდუდი, ს.არაბეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი, ირაკლი აზაროვი (ორივე შახტარი, უკრაინა), ივა გელაშვილი (სპეცია, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო, თბ);

**ნახევარდაცვა:** ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), გიორგი აბურჯანია (ჰატაი, თურქეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო, ბთ), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია);

შეგახსენებთ, რომ ჯგუფს ესპანეთი და შოტლანდია 15-15 ქულით ლიდერობენ; ნორვეგიას 10 ქულა აქვს; საქართველო 7 ქულით მეოთხეა; უქულო კვიპროსი ბოლოზე.

# 21-წლამდე ნაკრები წლის ბოლო მატჩს ითამაშებს

16 ნოემბერს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები წლის ბოლო მატჩს სკოპიეში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდის ჯგუფურ ეტაპზე ჩრდილოეთ მაკედონიის 21-წლამდე გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

სკოპიეში გასამართი მატჩისთვის, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა – რამაზ სვანაძემ 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარეები:** ლევან თანდილაშვილი (ლოკომოტივი), ლუკა ხარატიშვილი (სამტრედია), მიხეილ მაქაცარია (დინამო თბ);




**მცველები:** გიორგი მაისურაძე, საბა ხვადაგიანი, ნიკოლოზ უგრეხელიძე (ყველა დინამო თბ), საბა გოგლიჩიძე (ტორპედო), საბა მამაცაშვილი (გაგრა), ზურაბ რუხაძე (მეტა, ლატვია), თორნიკე მორჩილაძე (თელავი), საბა საზონოვი (ტორინო, იტალია);

**ნახევარმცველები:** ლაშა ოდიშარია, ლევან ოსიყმაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი (ორივე საბურთალო), ნოდარ ლომინაძე (სამგურალი), ირაკლი ეგოიანი (ტვენტე, ნიდერლანდები), შალვა ოგბაიძე (დენ ბოსხი, ნიდერლანდები), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი);

**თავდამსხმელები:** ვასილიოს გორდეზიანი (პაოკი, საბერძნეთი), გიორგი კვერნაძე (ფროზინონე, იტალია), ჯადული იობაშვილი (დინამო თბ), გიორგი აბუაშვილი (პეტროლული, რუმინეთი).

ოთხი მატჩის შემდეგ, საქართველოსა და შვედეთის ახალგაზრდული გუნდები ჯგუფში 7 ქულით 2-3 ადგილს იკავებენ, ხოლო პირველადგილოსან ნიდერლანდებს 12 ქულა აქვს. მოლოდოვას 6 ქულა აქვს; ჩრდილოეთ მაკედონიას – 4; ხოლო ბოლო ადგილზე უქულო გიბრალტარია.

ჩრდილოეთ მაკედონიისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩი 16 ნოემბერს, 16:00 საათზე დაიწყება.

# თსუ ბოლო წამებზე დამარცხდა

## თსუ-გიოტინგენი 85:86 (14:18; 23:25; 18:22; 30:21)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ფიბა ევროპის თასზე მეოთხე მატჩი გამართა და დაძაბულ ბრძოლაში, მინიმალური სხვაობით – 85:86 დამარცხდა.

თსუ გამარჯვებასთან ძალიან ახლოს იყო და რომ მოეგო, გმირობის ტოლფას საქმეს გააკეთებდა, მაგრამ ბოლო წამებზე გერმანული ბუნდესლიგის წარმომადგენელს გაუმართლა. გიოტინგენის უკანახაზელმა, დეონდრე პარნსმა საფინალო სირენამდე 3.7 წამით ადრე რთული მდგომარეობიდან ჩაგდებული ბურთით სტუმრები დააწინაურა და გერმანულ გუნდს გამარჯვება მოუტანა. ეს გახლდათ გიოტინგენის მე-4 გამარჯვება ჯგუფში და გერმანულმა კლუბმა ჯგუფში პირველი ადგილი ფაქტობრივად გაინაღდა.

საქართველოს სუპერლიგის ჩემპიონი გერმანიის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელს ტოლ-სწორად ებრძოლა. ფიბა ევროპის თასის პირველ ტურში გერმანიაში გამართული შეხვედრა გიოტინგენმა არანაკლებ დრამატულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე მოიგო. ამ გუნდმა 2 კვირის წინ იტალიაში ვარეზეს 12 ქულით სძლია და ზოგადად, გიოტინგენი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია, რომელმაც თბილისში ბეწვის ხიდზე გაიარა.

თსუ მესამე პერიოდში 17 ქულით აგებდა და განწირული ჩანდა, მაგრამ კარიერის საუკეთესო მატჩი, უფრო სწორად, მეორე ტაიმი ითამაშა რატი ანდრონიკაშვილმა. გერმანელთა მწვრთნელს მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რომ ჰკითხეს, რა მოხდა, მეორე ტაიმში რა დაგემართათ, 17 ქულა რომ გაანიავეთო, ოლივიე ფუკარტმა უპასუხა, რატი ანდრონიკაშვილი დაგვემართაო.

საქართველოს ეროვნული ნაკრების უკანახაზელი მართლაც რომ შეუჩერებელი იყო. ბოლო პერიოდში, რომლის დაწყებისას თსუ 10 ქულით აგებდა, მან 19 ქულა ჩააგდო. გერმანელებმა ანდრონიკაშვილის შეტევებისგან თავი ვერ დაიცვეს და როცა ბოლო წუთი დაიწყო, გიორგი ტურძილაძის საფირმო სროლით თსუ-მ პირველ პერიოდში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა – 85:84. საფინალო სირენამდე 20 წამი იყო, ბარნსმა ბურთი საკუთარ საჯარიმოში მიიღო, ატარა, ატარა და ბოლოს შეუტია. ძალიან მაღალი ტრაექტორიით ნასროლ ბურთს ვერც ერთი თსუ-ელი ვერ შესწვდა, რომელიც ფარის ფარიდან ასხლეტითა და რკალის დახმარებით კალათში ჩაეშვა. ანდრონიკაშვილი სასწაულთა ახლოს იყო, მაგრამ 20 მეტრიდან მისი ნასროლი ბურთი კალათის რკალს მოხვდა და გერმანელებმა შვებით ამოისუნთქეს.

ანდრონიკაშვილმა შეხვედრა 31 ქულით, 6 მოხსნითა და 2 პასით დაასრულა; 17 ქულა და 6 მოხსნა კახა ჯინჭარაძემ მიითვალა; გიორგი ტურძილაძის ანგარიშზე კი, 14 ქულა დაგროვდა; ალექსანდრე ფევაძემ თავი 10 ქულასა და 7 მოხსნას მოუყარა.

ფიბა ევროპის თასზე თსუ-ს ჯგუფში 2 მატჩი დარჩა – 15 ნოემბერს ლიმასოლში კერავნოსთან და 22 ნოემბერს თბილისში იტალიურ ვარეზესთან.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ჩემპიონთა ლიგის კიდევ ოთხი მერვედფინალისტი ცნობილია

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტური დასრულდა. მეორე დღეს გაირკვა კიდევ ოთხი მერვედფინალისტი. ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე კი, ორი ტურია დარჩენილი.

### A ჯგუფში

ბაიერნს საშინაო არენაზე გალათასარაისთან ძალიან გაუჭირდა და მხოლოდ მატჩის მიწურულს ჰარი კეინის გატანილი გოლებით მოიგო. მართალია, ინგლისელის გოლებს მატჩის ბოლოს თურქებმაც უპასუხეს, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დრო აღარ დარჩათ.

ბაიერნმა 12 ქულა დააგროვა და ჯგუფიდან უკვე გავიდა, თანაც, პირველი ადგილით...

სამაგიეროდ, დიდი ბრძოლაა მეორე ადგილისთვის. ყველაფერი კოპენჰაგენმა არია. დანიელებმა შინ 4:3 მოუგო მანჩესტერ იუნაიტედს.



არადა, 28-ე წუთისთვის რასმუს ჰოილუნის დუბლით იგებდა და არც თამაშის მიმდინარეობა მოასწავებდა ცუდს. თუმცა, ტაიმის მიწურულს მოედნიდან მარკუს რეშფორდი გააძევეს და მასპინძლებმა ანგარიშის გათანაბრება პირველივე ტაიმში მოახერხეს.

შესვენების შემდეგ მანჩესტერი ისევ დაწინაურდა – გოლი ბრუნო ფერნანდეშმა გაიტანა. თუმცა, კოპენჰაგენმა თამაში ისევ სათავისოდ დაატრიალა და 4:3 მოიგო.

კოპენჰაგენში არ უთამაშია დავით ხოჭოლავას, რომელსაც ტრავმა აქვს.

მანჩესტერი 3 ქულით ბოლოზეა, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ჯერ ისევ აქვს, რადგან კონკურენტები – კოპენჰაგენი და გალათასარაი თითო ქულით უსწრებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 11-6 | 12 |
| 2. კოპენჰაგენი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-8 | 4 |
| 3. გალათასარაი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 4. მანჩესტერი | 4 | 1 | 0 | 3 | 9-11 | 3 |

### B ჯგუფში

არსენალმა დიდი ნაბიჯი გადადგა ფლეი ოფისკენ. „მეთოფეებმა" შინ ესპანური სევილია 2:0 დაამარცხა. გოლები ტროსარისა და საკას ანგარიშზეა.

მიკელ არტეტას გუნდს არათუ მერვედფინალში გასვლა, არამედ პირველი ადგილის დაკავებაც არ გაუჭირდება.

პარალელურად, ლუკ დე იონგის გოლით პსვ-მ ლანსი დაამარცხა და უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მიითვალა. ამ ჯგუფში მეორე ადგილისთვის დიდი ბრძოლაა: პსვ, ლანსი და სევილია დარჩენილ ორ ტურში გაარკვევენ, ვინ გავა მერვედფინალში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-3 | 9 |
| 2. პსვ | 4 | 1 | 2 | 1 | 4-7 | 5 |
| 3. ლანსი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 4. სევილია | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |

### C ჯგუფში

ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლიმ შინ გერმანულ უნიონს ვერ მოუგო – 1:1. პირველი ტაიმი ნაპოლისი იყო და მატეო პოლიტანოს გოლით მოიგო კიდეც.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი დატრო ფოფანამ კონტრშეტევა დაასრულა შედეგიანად და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

კვარაცხელიამ 90 წუთი ითამაშა და ბოლოსკენ ორი კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ორივე შემთხვევაში მეკარემ აჯობა. ხვიჩას ჩემპიონთა ლიგაზე გასული წლის ოქტომბრის შემდეგ არ გაუტანია...

სამაგიეროდ, ჯგუფიდან გავიდა მადრიდის რეალი. კარლო ანჩელოტი შეგირდებმა შინ ბრაგა 3:0 დაამარცხეს.

მადრიდელთა მეკარე ანდრე ლუნინმა მატჩის დასაწყისშივე პენალტი მოიგერია. არადა, მისი ძირითადში დაყენება არც მოიაზრებოდა და გახურებაზე კეპა ადგა. თუმცა, მატჩის დაწყებამდე 10 წუთით ადრე გაირკვა, რომ ტრავმა მიიღო და ლუნინმა შეცვალა.

ამის შემდეგ მოედანზე დომინანტი რეალი იყო. ბრაჰიმ დიასმა, ვინისიუსმა და როდრიგომ მასპინძლებს მარტივი სამი ქულა მოუტანეს,

რეალს პირველი ადგილის დასაკავებლად ქულა სჭირდება, ნაპოლი მეორე ადგილისთვის იბრძვის.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| 2. ნაპოლი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ბრაგა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-9 | 3 |
| 4. უნიონი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |

### D ჯგუფში

სოსიედადი და ინტერი მერვედფინალში გავიდნენ. ეს უკვე გარკვეულია და ბოლო ტურებში გასარკვევი მხოლოდ ის დარჩა, ვინ გავა პირველი ადგილით.

ესპანელებმა ბენფიკას 3:1 აჯობეს. მერინოს, ოიარსაბალისა და ბარენეჩეას გოლებით ბასკები 20 წუთში სოლიდურად იგებდნენ. მერე პენალტიც გააფუჭეს და ტაიმიც ასე მოიგეს.

შესვენების შემდეგ რაფა სილვას გოლით პორტუგალიელებმა ანგარიში კი შეამცირეს, მაგრამ, სულ ეს იყო...

იტალიელებმა სტუმრად ლაუტარო მარტინესის პენალტით ზალცბურგს მოუგეს და ყველაფერი რეიტინგულად დაალაგეს: ინტერი და სოსიედადი გაარკვევენ, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს; ზალცბურგი და ბენფიკა ევროპა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებენ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სოსიედადი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| 2. ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-2 | 10 |
| 3. ზალცბურგი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 4. ბენფიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-7 | 0 |

# საქართველოს ნაკრები მეტოქეებს ელოდება

ფიბა-მ ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრის თარიღი დაასახელა – შვეიცარიის ქალაქ ნიონში 27 ნოემბერს ჩატარდება. ასევე გაირკვევა ის ქვეყნებიც, რომლებიც კვალიფიკაციის ჯგუფებს უმასპინძლებენ.

ოლიმპიადაზე მონაწილეობას 12 ნაკრები მიიღებს, რომელთაგან რვა უკვე გარკვეულია: მასპინძელი საფრანგეთი და ის შვიდი გუნდი, რომლებიც ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე კონტინენტური კვოტების მიხედვით გაირკვა – სამხრეთ სუდანი (აფრიკა), აშშ, კანადა (ორივე ამერიკა), იაპონია (აზია), სერბეთი, გერმანია (ორივე ევროპა) და ავსტრალია (ოკეანეთი).

დარჩენილია ოლიმპიადის 4 საგზური, რომელთა მფლობელების ვინაობასაც 2024 წლის ივლისში დაგეგმილი ტურნირის შემდეგ შევიტყობთ. მონაწილეობას 24 ნაკრები მიიღებს, რომლებიც ასევე მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით შეირჩნენ:

ეგვიპტე, პუერტო რიკო, ახალი ზელანდია, სლოვენია, ლატვია, იტალია, ლიეტუვა, ესპანეთი, მონტენეგრო, ბრაზილია, დომინიკის რესპუბლიკა, საბერძნეთი, საქართველო, ფინეთი, ლიბანი, ფილიპინები, მექსიკა, ანგოლა, კოტ დივუარი, კამერუნი, ბაჰამები, ბაჰრეინი, პოლონეთი, ხორვატია.

24 ნაკრები ექვსეულებად დაიყოფა და ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში გადანაწილდება; ექვსეულები, თავის მხრივ, შუაზე გაიყოფიან და 3-3 ნაკრები წრიულად ითამაშებს; 2-2 საუკეთესო ჯვარედინი პრინციპით ნახევარფინალში დაწყვილდება; ფინალები კი, ოთხ ჩემპიონს გამოავლენს, რომლებიც ოლიმპიადაზე თამაშის უფლებას მიიღებენ.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. ისტორიული ციხესიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ხელოვნური წყალსაცავი თიანეთის რაიონში; 7. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 11. ნაკვერჩხლიანი ნაცარი; 13. აშშ-ის პრეზიდენტი; 14. ქიმიური ელემენტი, აირი; 15. გერმანული საგმირო ეპოსი; 16. სპორტსმენთათვის აკრძალული აღმგზნები პრეპარატი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 19. თვალის ფერადი გარსი; 20. გენუისა და ვენეციის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. აზერბაიჯანული ეროვნული კერძი; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის; 9. ბალკანეთის ხალხების საფერხულო ცეკვა; 10. რძის პროდუქტი; 12. კუთხე საქართველოში; 14. ჩახურებული ფქვილი; 15. საგნის გარე, ზღვრული მოხაზულობა; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. დაბალი ხარისხის ალმასი; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ქალის კაბის საყელო; 23. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბექაური; 2. არგუმენტი; 3. ესკულაპი; 4. ლაუდერი; 5. ნაგანი; 9. რიგელი; 11. შაბლონი; 12. ბაროკო; 14. სამსუნი; 18. იახტა; 19. სეიმი.

**თარაზულად:** 4. ლაზერი; 5. ნეგროიდი; 6. ისანი; 7. მურტალო; 8. სუბარი; 10. პუნში; 13. როსინი; 15. ელეგია; 16. პოლო; 17. ფიცი; 20. სკვერი; 21. ხორუმი; 22. ვატმანი; 23. მაკეტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. რიქშა; 3. სურო; 5. ჯეჯილი; 6. სტელა; 7. კონუნგი; 11. მურსია; 13. პრატერი; 14. პრესა; 15. ბედუინი; 16. ონაგატა; 17. ორბანი; 19. ალუჩა; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. რიოში; 9. ჯამე; 10. ორშიმო; 12. ბურვილი; 14. პესო; 15. ბიჭვითა; 16. ომეგა; 18. აგუნა; 21. ბედია; 22. ტერნერი; 23. ჩონგური.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

10 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7048

ევრო — 2.8914

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3237

100 რუსული რუბლი — 2.9306

ამინდის პროგნოზი 10 ნოემბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერიკ ტენ ჰააგი: „რეშფორდი გაძევებას არ იმსახურებდა“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ერიკ ტენ ჰაგმა კოპენჰაგენთან მარცხის შემდეგ თქვა, რომ მარკუს რეშფორდი გაძევებას არ იმსახურებდა და მსაჯმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, მანჩესტერი 3:4 დამარცხდა:

– მსაჯმა ძალიან დიდი ხანი იფიქრა რეშფორდის გაძევებაზე და საბოლოოდ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. უკვე მერამდენედ ხდება მსგავსი რამ. იმედი მაქვს, რომ ოდესმე მსაჯები ჩვენს სასარგებლოდაც დაუშვებენ შეცდომებს.

# რუდი გარსია: „მოსაგებად ყველაფერი გავაკეთეთ“



ნაპოლიმ საკუთარ მოედანზე უნიონ ბერლინი მიიღო და მათი დამარცხება ვერ მოახერხა. შეხვედრა საბოლოოდ ფრედ, 1:1 დასრულდა. მატჩის შემდეგ რუდი გარსიამ თქვა, რომ მისმა გუნდმა მოსაგებად ყველაფერი გააკეთა, მაგრამ იღბალი მათ მხარეს არ იყო:

– მომენტები შევქმენით და გოლიც არ ჩაგვითვალეს, ამიტომ შეიძლება არგამართლებაზე საუბარი. ვთვლი, რომ კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და უკეთეს შედეგს ვიმსახურებდით.

# კარლო ანჩელოტი: „რეალი კარგ ფორმაშია“



მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე საკუთარ მოედანზე პორტუგალიური ბრაგა დაამარცხა 3:0 და შემდეგ ეტაპზე გასვლა გაინაღდა. მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ თქვა, რომ მისი გუნდი ამ გამარჯვებას იმსახურებდა და ისინი კარგ ფორმაში არიან:

– ჩვენ კიდევ ერთხელ ყველას ვაჩვენეთ, რომ რეალი ძალიან კარგ ფორმაშია და ჩემპიონთა ლიგა ჩვენი ტურნირია. მინდა, რომ წელს კიდევ ბევრჯერ გავახაროთ გულშემატკივარი.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# ანრი ჯოხაძის კონცერტის ბილეთები ელვის სისწრაფით გაიყიდა



მომღერალმა ანრი ჯოხაძემ თბილისში პირველი სოლო-კონცერტი დააანონსა. ბილეთების გაყიდვის დაწყებიდან რამდენიმე საათში, თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის 2.500-კაციანი სივრცის ყველა ბილეთი გაიყიდა.

ანრიმ მაყურებელთა თხოვნა გაითვალისწინა და კონცერტი 30 ნოემბერსაც დაამატა.

# ეროვნული კინოცენტრი თანამედროვე ქართული კინოს რეტროსპექტივას აწყობს

Georgian National Film Center

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით საქართველოს კინოაკადემიის ლურჯ კინოდარბაზში გაიმართება რეტროსპექტივა – „თანამედროვე ქართული კინო“. პროგრამაში წარმოდგენილია 2005-2023 წლებში შექმნილი 36 ქართული ფილმი. რეტროსპექტივის მიზანია თანამედროვე ქართული კინოს პოპულარიზაცია. საზოგადოება ხშირად ითხოვს, გაეცნოს თანამედროვე ქართულ კინოხელოვნებას, რომელიც, სამწუხაროდ, დიდ ეკრანზე ან ტელევიზიით ნაკლებად ხელმისაწვდომია. სწორედ ამიტომ ფილმების ჩვენებაზე დასწრება უფასოა.

რეტროსპექტივას გახსნის ლევან ზაქარეიშვილის ფილმი „თბილისი-თბილისი“. ფილმის რესტავრაცია ახლახან დასრულდა და მაყურებელი აღდგენილ ვერსიას დიდ ეკრანზე პირველად ნახავს. ფილმი არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია. 2005 წელს ის კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე უჩვენეს. ამავე დღეს მაყურებელი ნახავს რეჟისორის მოკლემეტრაჟიან ფილმს „მამა“.

კინოჩვენებების გარდა, შაბათ-კვირის სეანსებზე გაიმართება დისკუსიები ფილმების შემოქმედებითი ჯგუფების წევრთა მონაწილეობით.

თანამედროვე კინოს რეტროსპექტივას 24 დეკემბერს დაასრულებს თინათინ ყაჯრიშვილის ფილმი „მოქალაქე წმინდანი“, რომელიც საქართველოს კანდიდატია „ოსკარის“ ნომინაციაზე „საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმი“.

**უტა ბერია, რეჟისორი:**

– „უარყოფითი რიცხვების“ ჩვენება ამ ღონისძიებაზე არ შედგება. კინოცენტრი უნდა გახდეს დამოუკიდებელი და დაკმაყოფილდეს 400-ზე მეტი კინოხელოვანის სამართლიანი მოთხოვნა, თუ ქართული კინოს ხელშეწყობა და პოპულარიზაცია გვინდა. არაკომერციულ ჩვენებას რაც შეეხება, „უარყოფითი რიცხვები“ ბევრჯერ იყო ნაჩვენები ქალაქებშიც და რეგიონებშიც, კინოდარბაზებშიც, სკოლებშიც და გარე სივრცეებშიც და ასეც გაგრძელდება!

**გოგი გვახარია, კინომცოდნე:**

– ეროვნული კინოცენტრი აწყობს რეტროსპექტივას და ავიწყდება ალექსანდრე კობერიძის, ნანა ექვთიმიშვილის, გიგა ლიკლიკაძის, სოსო ბლიაძის, ელენე ნავერიანის, სალომე ჯაშის ფილმები... სწორედ ის ფილმები, რომლებმაც ბოლო წლებში ქართული კინო ასახელეს.

უფრო მეტიც – 2 დღეა ფეისბუკი ულოცავს ეკა ჩავლეიშვილს ევროაკადემიის პრემიის ფინალისტობას. ბევრს კიდევ არ ესმის, რამხელა მიღწევაა ეს ქართული კინოსთვის. მაგრამ ეროვნული კინოცენტრი აქაც დუმს. „თქვენ თუ არ გიყვარვართ, არც ჩვენ გვიყვარხართ!“ – გვეუბნება ხალხი, ვისაც სწორედ ჩვენ ვუხდით ხელფასს.

დიახ, გულზე არ გვეხატებით და ბოიკოტს გიცხადებთ, მაგრამ ხელფასს მაინც გიხდით!

რაის „თანამედროვე ქართული კინოს რეტროსპექტივა“? დაარქვით „ჩვენები“. უფრო ზუსტი იქნება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ზურა ყიფშიძის ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნება



თეატრისა და კინოს მსახიობის ზურა ყიფშიძის სახელობითი ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნება.

23 ნოემბერს კულტურის პალატა მსახიობის 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო ღონისძიებას მოაწყობს.

**ლენუკა ყიფშიძე, ზურა ყიფშიძის შვილი:**

– დიდი მზადება – 23 ნოემბერს მამას 70 წლის იუბილე და ვარსკვლავის გახსნა. დარწმუნებული ვარ, საოცარი საღამო იქნება. მთელი ცხოვრება რომ გვემახსოვრება, აი, ისეთი.

# „ზუგდიდის თეატრისა და რეჟისორ ლაშა შეროზიას მიმართ მიზანმიმართული ცილისწამების კამპანია მიმდინარეობს“



– ბოლო რამდენიმე დღეა, ზუგდიდის თეატრისა და რეჟისორის ლაშა შეროზიას მიმართ მიმდინარეობს მიზანმიმართული ცილისწამების კამპანია (შეგახსენებთ, რომ 2023 წლის 24 ოქტომბერს ბატონ ლაშა შეროზიას ამოეწურა ვადა სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე).

მტრულად განწყობილ ადამიანთა მცირე ჯგუფი, პირდაპირი ეთერებიდან, სიცრუის ტირაჟირებით ცდილობენ დანერგონ მოსახლეობასა და თეატრს შორის კონფლიქტი და იყენებენ ისეთ ხერხებს, რომლებიც მოიცავენ ძალადობრივი ხერხების გამოყენებას: ფიზიკური ძალადობა, სიცოცხლის მოსპობა და მათ შორის მსახიობ ქალებზე სექსუალური ძალადობისკენ მოწოდება. ასევე, გაურკვეველი ჯგუფები, სოციალური ქსელის მეშვეობით, კიბერშეტევებს ახორციელებენ ჩვენი მისამართით.

ცილისწამების კამპანია მიზნად ისახავს კონკრეტულად ლაშა შეროზიას რეპუტაციის შელახვას, რაშიც, რა თქმა უნდა, დასის წევრებიც გარიეს და მათი მისამართით გასროლილი შეურაცხმყოფელი, აღვირახსნილი მიმართვები, განსაკუთრებით ნანა ბუკიას მისამართით, ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ დეზინფორმაციის გავრცელებასა და კონკრეტული პიროვნებების გაშავების მცდელობას.

ცილისწამების კამპანია ხელს უწყობს ტოქსიკური გარემოს შექმნას, რაც თეატრისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

თეატრი, როგორც სულიერი განვითარების ადგილი, ატარებს ასევე აღმზრდელობით ფუნქციას, რაც წარმატებით აისახება დადიანის თეატრის რეპერტუარზე, შესაბამისად, თანამშრომლები ვემიჯნებით და კატეგორიულად ვგმობთ როგორც თეატრზე, ასევე ლაშა შეროზიას მიმართ წამოწყებულ სიცრუეზე დაყრდნობილ კამპანიას.

მადლობას ვუხდით ჩვენს ერთგულ მაყურებლებსა და გულშემატკივრებს სოლიდარობისთვის. თეატრი გემსახურებათ თქვენ და თქვენი გულწრფელი ემოციები გვაძლევს უდიდეს სტიმულს, რათა ეს წარმატება, რომელიც ბოლო პერიოდია თეატრს აქვს, მეტად განვავითაროთ, – ნათქვამია ზუგდიდის შალვა დადიანის თეატრის თანამშრომლების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ეკა ჩავლეიშვილი ევროპული კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტია



მსახიობი ეკა ჩავლეიშვილი ელენე ნავერიანის ფილმში „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ მთავარი როლის, ეთეროს, შესრულებისთვის ევროპული კინოაკადემიის ჯილდოს ნომინანტია საუკეთესო მსახიობი ქალის კატეგორიაში.

ევროპული კინოაკადემიის დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 9 დეკემბერს გაიმართება და გამარჯვებულიც სწორედ ამ დღეს გამოვლინდება.

აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ ელენე ნავერიანის ფილმი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ ევროპული კინოაკადემიის ჯილდოს გრძელ სიაში მოხვდა. მანამდე ფილმმა სარაევოს კინოფესტივალზე 2 ჯილდო მოიპოვა – საუკეთესო მხატვრული ფილმისა და მსახიობი ქალის ნომინაციაში.

ელენე ნავერიანის ფილმი „შაშვი, შაშვი, მაყვალი“ საქართველოს კინოთეატრებში გადის და მისი ნახვა ქართველ მაყურებელსაც შეუძლია.

**ეკა ჩავლეიშვილი, მსახიობი:**

– სულ გახარებული და გალიმებული დავდივარ. ამდენ კარგ ამბავს გადატანა ხომ უნდა? მეშინია, შემთხვევით, სიხარულისგან არ გავგიჟდე, ეს დროებით „ვარსკვლავად“ მომუშავე ქალი. უსაშველოდ დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ თქვენგან და უღრმესი მადლობა, კეთილო ადამიანებო.

# კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ღამე თევზაობა ჩირაღდნის საშუალებით; 2. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 3. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 4. მე-17 საუკუნის ქართველი დიპლომატი ქალი; 5. შენობის სახურავად გამოყენებული თხელი ფიცარი ძველად; 9. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 11. ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში; 12. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი; 14. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 18. ქიმიური ელემენტი, აირი; 19. ზღვისპირა კურორტი ყირიმში.

**თარაზულად:** 4. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 5. ქვიშიანი უდაბნო შუა-აზიაში; 6. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 7. მაწანწალას, მათხოვრის სახელწოდება საფრანგეთში; 8. საჯდომი ნერვის ანთება; 10. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 13. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 15. ისრაელის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 16. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი უნგრელი მხატვარი; 17. დიდი ტანის აფრიკული ანტილოპა; 20. ცნობილი ქართული მეტალურგი, აკადემიკოსი; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 23. კორიდის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**